



ქვეყნული  
გაზეთი

წელაწიდა

საბოლოო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი

მეთრამეცე

№ 4

კვირა, 25 იანვარი 1904 წ.

№ 4

გაზეთის ფასი: ერთის წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით— 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით— 4 მან., სამი თვით— 2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში— „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში; რუსის ბაზარში, საეკლესიო სახლში, იქვე, საღაც ექ. ხელაძის სტამბა.

რედაქციის კანტორა ღიაა ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათისა, შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფასი განცხადებისა უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი ორი შაფრი. ფოსტის აღრესი: Тифлисъ, редакция газеты „ИВАЛИ“.

**შინაარსი.** თანამედროვე კითხვები, ა. დეგციხელისა.— მთავრობის განკარგულება.— ახალი კანონი და წესები.— სხვადასხვა ამბები.— კორესპონდენციები. — სხვათა შორის... მოთხრობა ია ეკლაძისა.— ი. ს. ფანცხავას „თხზულებანი“, ა. მარილაძისა.— კლასთა ინტერესები, თარგმანი ლ. ელიავასი.— „ცნობის ფურცლის“ წინასწარმეტყველება შარშანდელი მეთვალყურისა.

### თანამედროვე კითხვები

(გაკვრით)

I

დიდი ხანია ჩვენი მრეწველობა „ეროვნული კითხვის“ გარშემო დატრიალებს, დიდი ხანია ეროვნების შესახებ მხოლოდ სიმთა ეღერა მოისმის და ამ ტუბილ ხმებში იფანტება მრავალი ნაზრ-ნაგრძობი; დიდი ხანია ვდავობთ, მხოლოდ სადავო კითხვა ჯერეც გამოურკვეველია, მისი ვრცლათ და სავსებით აღნუსხვა ამ ჟამათ ვერვის და არვის ეხერხება. მიზეზი მრავალია, დაბრკოლება საგრძობელია და ამ დაბრკოლებას, რასაკვირველია, ვერც ჩვენ გადავებიჯებთ და იძულებული ვართ ამ კითხვის ვიწრო ფარგალში ვითარეშოთ. ვეცდებით მხოლოდ გაკვრით აღნუსხვით ჩვენი შეხედულება და ისიც კითხვის ზოგიერთ მხარეებზე. ეროვნული კითხვა ეს ეროვნების არსებობის, დაცვის, თავის შენახვის კითხვაა; ამიტომ ჯერ ეროვნების ნიშნები გამოვარკვიოთ, მისი თვისება გავიგოთ და მისი დაცვის იარაღის მიკვლევაც გავვიადვილოთ. ჩვენი აზრით ეროვნების უმთავრეს ნიშნებს ენა და ტერიტორია წარმოადგენს, ხოლო ამავდროულად, საერთო ენის ერთ ტერიტორიაზე დასამკვიდრებლათ, საქიროა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ერთმანერთთან მჭიდრო კავშირი; რამდენათ ეს კავშირი სუსტია იმდენათ მრავალია ენათა სხვა-და-სხვაობა, იმდენათ ნაკლებია მცხოვრებთა სულიერი ერთიანობა. რამ უნდა შექმნას, ეს კავშირი, რამ უნდა გადააბას, გადაჯაჭვოს ერთმანეთზე სხვა-და-სხვა თემის, ერთი ტერიტორიის იქ-აქ მიგდებულ კუთხეებში მცხოვრებნი. ეს გადაჯაჭვა შეუძლებელი იყო მაშინ, როცა თვითოეული თემი, თვითოეული კუთხე კარჩაკეტილათ ცხოვრებდა, როცა ამ კუთხის წევრნი თვის საქიროებას გადალმა გადაუსვლელათ, შინავე იკმაყოფილებდნენ, ერთი სიტყვით, როცა ნატურალური კუთხურეობა იყო გამყვებული და პაწია ნაწილები განკერძოებით, ცალ-ცალკე ატარებდნენ თავის მარტივ ცხოვრებას. ასეთი ნაწილები ერთ მჭიდრო მთელს ვერ შექმნიდა და მათი კავშირება მხოლოდ დროებითი, გარეშე პირობებით გამოწ-

ვეული მოვლენა იყო, ცხოვრების შინაგანი ვითარება კი არც ერთს არ აიძულებდა ერთმანერთს დაახლოვებოდნენ, დაკავშირებოდნენ, გადაბმოდნენ და გადაჯაჭვოდნენ. ასეთი ნაწილები ეროვნებას ვერ განამტკიცებდა და ამიტომ ეროვნულ თვითცნობიერებას ნიადაგი არ ქონდა. ამნაირათ სუსტი ეკონომიური ურთიერთობა ასუსტებდა სულიერ ურთიერთობასაც და ქონებრივთა ერთმანერთისაგან დამოუკიდებელი ნაწილები, დანაწილებული, დაწიოკებული იყვენ გრძობა-გონებითაც. ახალმა საწარმოვო ურთიერთობამ სამუდამოთ ჩასქვდა კუბოში ხან-გადასული კარჩაკეტილობა და საქონლის წარმოებას საქონლის გასაცვლელ-გამოსაცვლელათ ადგილებიდან დასძრა დაუძრავი თემები; რა კი ერთხელ ჩადგა ცხოვრება ამ კალაპოტში, მისი მიმდინარეობა სწრაფი და შეუჩერებელია. მატულობს საქონლის წარმოება, ვითარდება ვაჭრობა-მრეწველობა და თანვე ზდის და ავითარებს სულიერ ურთიერთობასაც, ამხვილებს და აფაქიზებს მის იარაღს—ენას და ერთ ტერიტორიაზე გაფანტული მცხოვრებნი საერთო ინტერესებით ებმინ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთი მეორეს შრომას საქიროებს, ერთის ავ-კარგი მეორესთვის საგრძობელი ხდება; ინტერესთა რგოლები გრძელ გამბულ ჯაჭვით ჩაბმია ყველას და განსაზღვრულ ისტორიულ პროცესში ავითარებს. ეს ჯაჭვია ვაჭრობა-მრეწველობა და ეს პროცესი—კაპიტალისტური წარმოება. კაპიტალისტური წესწყობილების ნიშნობლივი თვისება საქონლის წარმოებაა; საქონლის წარმოების განსახორციელებლათ აუცილებელი პირობაა: თავისუფალ მწარმოებელთა ბრბო, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საწარმოვო იარაღებს და მცირედი ჯგუფი ამ იარაღების ბატონი ანუ კაპიტალისტები. პირველი თავისს სამუშაო ძალას ყიდის, მეორე ყიდულობს და ამ ნაყიდიდან იგებს თავისს სიმდიდრეს. პირველია საზოგადოების უმრავლესი, მხოლოდ უღატაკესი ნაწილი, მეორეა უმცირესი, მხოლოდ უმდიდრესი ნაწილი. უმრავლესობის შრომის ნაყოფს უმცირესობა ისაკუთრებს და სამაგიეროთ დღიურ სარჩოს დიდის ვაივაგლახით არგებს მწარმოებელთ. ერთის ინტერესს წარმოადგენს ნაკლები შრომა და მეტი სამუშაო ქირა, მეორეს მეტი



შრომა და ნაკლები სამუშაო ქირა; ეს მუდმივი, დაუცხრო-  
მელი, სასტიკი საცილობელი საგანია. ამნაირათ საზოგადო  
ნაწარმოები კერძო საკუთრებათ იქცევა. ამ ნიადაგზე იზრდებ-  
ბა საქონლის წარმოება და ამავე ნიადაგზე ვითარდება საზო-  
გადო ინტერესებიც. საქონელს ბაზარი ექივრება და რამდენ-  
ნათ საქონლის წარმოება მეტია იმდენათ მატულობს და ფარ-  
თოვდება ეს ბაზარიც. ამიტომ განდიდებული წარმოების და-  
უცხრომელი წადილია ფართო ბაზრის მოპოება, მხოლოდ ეს  
წადილი თვით მაძებართა შორის ბადებს მეტოქეობას და იმარ-  
თება სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ეროვნული ინტერესე-  
ბიც აქ იჩენს თავს, „სამშობლოს მრეწველობა“ გამაგრებას და სა-  
ზოგადო დახმარებას საჭიროებს და ერთი საზოგადოებრივი ჯგუ-  
ფის ინტერესი საერთო, „საერო“ ინტერესებათ გამოაქვთ. საქო-  
ნლის გასაღებას საჭიროებს კაპიტალისტი, საქონლის გასასა-  
ღებლათ საჭირო ხდება თვისი სამშობლოს საზღვრების გადა-  
ბიჯება, სამშობლო საზღვრების გადაღმა სხვა ერების საზღვ-  
რები ხვდება და ამიტომ ერთა მეტოქეობა მატულობს. ერთი  
სკდილობს მეორეს სამფლობელო ჩაიგდოს ხელთ და შიგ  
თავისუფლათ ითარეშოს, მეორე უკანასკნელ ძალღონეს იკ-  
რებს თავისი უფლება დაიცვას და თავის მრეწველობას არ  
შეუკვეცოს ფრთა და ამ უფლების გადამწყვეტი ძალაა, ძა-  
ლა ფიზიკური, მოურიდებელი. ამ ძალის შექმნა კი ისევ უმ-  
რავლესობას შეუძლია, მაშასადამე ეს უმრავლესობა გარდა  
იმისა, რომ სხვისთვის შრომობელია, სხვისთვის მებრძოლიც  
ხდება. ბრძოლა მას შრეტს სისხლისაგას და სამაგიეროთ ზედ-  
მეტ ლუკმას თუ გადმოუგდებს ხოლმე. საერთო პირობები  
კი იგივე რჩება, არსებული ურთიერთობა კიდევ უფრო იმა-  
გრებს ფეხს და მერმე მტრებთან გამარჯვებულნი შინაგანის  
მონა-მორჩილი რჩებიან. აქიდან ცხადია, თანამედროვე ერე-  
ბის მეტოქეობას დასაწყისი სათავე თვით თანამედროვე წყო-  
ბილებაში აქვს; ერთი ერის მიერ მეორეს დაბეჩვებას, და-  
ტუქსვას საფუძველს უგებს დღევანდელი სოციალური ურთი-  
ერთობა; გარეშე ძალისაგან დარბევას ნიადაგს უშაადებს ში-  
ნაგანი ძალების განწყობილება; ჯგუფთა წინააღმდეგობა თვით  
ერში ბადებს ერთა წინააღმდეგობას ჯა პირველის ზრდასთან  
ერთად ფრთას იშლის მეორეც. რომელი მხარეც უნდა აი-  
ლოთ, რა პირობებიც უნდა დაასახელოთ ყველა ერთ წერ-  
ტილში გამოინახსკვება და მხოლოდ ამ ნასკვის გაქრა გადას-  
ქრის უმთავრეს კითხვას. ეს კითხვა მომწყვდელია უფრო  
დიდ, უფრო ვრცელ და ღრმა კითხვაში, რომელსაც სოცია-  
ლურ კითხვას უწოდებენ და მისი აქიდან გამოყოფა, გამო-  
თიშვა შეუძლებელია, უსარგებლო და მავნებელი. შეუძლებე-  
ლია, რადგან ნამდვილი მიზეზი გამოურკვეველი და ფესვ მო-  
მაგრებული დარჩება; უსარგებლოა, რადგან უბრალოთ დროს  
დაკარგვას და ნამდვილი ურთიერთობის გამორკვევას აგვიანებს  
და მავნებელია, რადგან ამ დავიანებით უმრავლესობაში ბა-  
დებს ქიშპობა-მტრობას და მით საერთო საქმის მოგვარებას  
ხელს უშლის. აქ შეიძლება მიგვითითონ დამონებული ერების  
განსაკუთრებულ პირობებზე, ზედ მეტ დაბეჩვებაზე, აუტანელ  
სისასტიკეზე; მხოლოდ ეს სრულიად ვერ დაარღვევს ჩვენ შე-  
ხედულებას, რადგან ყოველი სისასტიკე, ყოველი დაბეჩვება  
დამყნილია ერთი ხის ძირზე და ამ ძირის აღმოფხვრა, გადა-  
გდება ყველა მის ნაყოფს არსებობას უსპობს, სიცოცხლის  
პირობებს უხშავს. სწორედ ამით აიხსნება რომ ყოველი ამნა-  
ირი ცდა: გაშლილი ტოტების წაღღვა-სხვლა, მიზანს ვერ  
სწვდება და კიდევ უფრო დიდათ იშლება ეს ტოტები, კიდევ  
უფრო ჩრდილავს იგი შხის სხივებს და საამო სითბოს აკლებს  
მცხოვრებთ. ამოვარდეს ძირი, ამოიგლიჯოს ფესვები და ტო-  
ტებიც თავის თავად დაეშვება, დასქნება, გახმება, უვნებელი  
შეაქნება. ჩვენთვის შეუძლებელია „ეროვნული კითხვის“

სხვანაირათ წარმოდგენა, ჩვენ ვერ გამოვესარჩლებით ღის ინ-  
ტერესებს, როცა მით უმრავლესობის ქირ-ვარამი მივიწყებუ-  
ლია, მხოლოდ მივეცემით მთელი ჩვენის ძალღონით, უმსახუ-  
რებთ ჩვენს გრძობა-გონებას, შევეტკობით სახეობით  
ნიღაბ ჩამოფარებული ნამდვილის სახით გვეჩვენება, როცა  
ეროვნული კითხვა უმრავლესობის ქირ-ვარამის კითხვათ იქ-  
ცევა, როცა ერის სახელით მწარმოებელის ძალა ემზადება,  
როცა საამო სიტყვას სიყვარულის შინაარსი ჩავსახება. ეს  
ასეც უნდა იქნეს, ეს ასეც არის; ეს კითხვა, ჩვენის შეხედუ-  
ლებით, ჩასახულია უფრო ვრცელ კითხვაში; ეს კითხვა დღე-  
ვანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაშობია, მისი ნა-  
ზარდი, დავაჟკაცებული და აძიტომ გავგონიერებული. ამიტომ  
ამ ურთიერთობასთან ერთათ მას სიმწვავე უნდა დაეკარგოს,  
მშვიდობიანათ უნდა გაიზარდოს და საერთო საღაროში სა-  
გრძობელ სიმდიდრეთ შეედინოს. მსურველთ მხოლოდ ამ  
ნიადაგზე შეუძლიათ საერთო მოქმედება!..

ა. დევიციელი

**მთავრობის განკარგულება.**

„პრავიტ. ვესტნი.“-ში (№ 12) დაბეჭდილია: ტვერის გუ-  
ბერნიის საერობო დაწესებულებათა მოღვაწეობა კარგა ხანია  
ტყვე ყურადღებას იქცევს იმით, რომ ამ მოღვაწეობის მიმარ-  
თულება არ შეეფერება სახელმწიფო წესრიგის მოთხოვნათ.  
ეს მიმართულება ხანდახან თავს იჩენდა განსაკუთრებულის  
უწესო ფაქტებით, რომელთა შესახებ არა ერთხელ წარედგი-  
ნა მოხსენება ხელმწიფე-იმპერატორს. უმაღლესის ბრძანებით,  
ხსენებულ უწესოებათა თავიდან ასაცილებლათ არა ერთხელ  
იქმნა მიღებული სხვა და სხვა საჭირო ღონისძიება. ეს ღონის-  
ძიებანი თუმცა დროებით გამოათხზილებდენ ხოლმე ერობის  
მოღვაწეთ, მაგრამ მათ არ შეეძლო სწორე გზაზე დაეყენებიათ  
ერობა მაენე მოღვაწეობა უფრო გამწვავდა; ეს, სხვათა შო-  
რის, გამოიხატება იმით, რომ საერობო კრებაზე მოღვაწენი  
ისეთ რამეებზე მსჯელობდენ, რაც ხალხს აღელვებდა და  
ამასთანავე მუდამ ცდილობდენ ადგილობრივ მთავრობის  
წინააღმდეგ ემოქმედნათ.

გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ ტვერის გუბერნიის საერო-  
ბო დაწესებულებათა მოწყობაში კანონიც დაერღვიათ. ერო-  
ბამ დააარსა სხვა და სხვა აღმასრულებელი კომიტეტები და  
კომისიები, რაც კანონში არ არის მოხსენებული და მოხე-  
ლევბათ მოიწვია ამ კომიტეტ-კომისიებში გარეშე პირნი. ეს  
კომისია-კომიტეტები თავდაპირველათ დაარსებული იყო ერო-  
ბის დასახმარებლათ, მაგრამ შემდეგ მათ ხელში გადავიდა სა-  
ერობო მოღვაწეობის სხვა და სხვა ნაწილი და ამრიგათ მარ-  
თვა-გამგეობის საქმე და ერობის მოღვაწეობის ასე თუ ისე  
წარმოება გარეშე პირთა უფლებათ შეიქმნა. ამავე დროს აღ-  
მოჩნდა, რომ ეს გარეშე პირნი ცდილობდენ შეედგინათ შე-  
კავშირებული საზოგადოება, რათა ერობის სამსახურში მხო-  
ლოთ თავიანთი ერთმოაზრენი მიეღოთ.

ყველა ამ გარემოებამ განსაკუთრებით ცუდათ იმოქმედა  
სახალხო განათლების საქმეზე. სამოსწავლო უწყება არა ერთ-  
ხელ ატყობინებდა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ტვერის  
გუბერნიაში საერობო გამგეობებთან დაარსებულია განსაკუთ-  
რებული საბჭოები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ სა-  
ხალხო მასწავლებელნიც-კი; ეს საბჭოები ხელს უშლია  
მთავრობის ზედამხედველობას საერობო სკოლებზე. მაგალი-  
თათ. ნოვოტორჟსკის საერობო გამგეობასთან 1903 წელ  
დაარსდა კომიტეტი სახალხო მასწავლებელთაგან, რომელმა  
მაშინვე მიიღო ღონისძიებანი კომიტეტის წევრთათვის არ-  
სასურველ მასწავლებელთა დასათხოვნათ.



სამოსწავლო უწყებების განცხადებანი ნოვოტორჟის საგრობო გამგეობის უკანონო მოქმედებათა შესახებ სრულიად გამართლდა ჰოფმენსტერის შტიურმერის რევიზიით, რომელიც მოხდენილ იქმნა უმაღლესის ბრძანებით წარსული წლის ბოლოს, აგრეთვე იმ ცნობით რომელიც პოლიციის დეპარტამენტს მოსდიოდა.

გამოირკვა, რომ ტვერის საგუბერნიო ერობის მოხელეთა შორის იყვენ დიდძალი პირები არა საიმედო პოლიტიკური მიმართულებისა, რადგან საერობო გამგეობის აღმასრულებელი და განმკარგულებელი უფლებანი გადავიდა ისეთ დაწესებულების ხელში, რომელნიც დაქირავებულ მოხელეთაგან შესდგებიან, და ამ დაწესებულებათ თანდათან უფრო მეტი გავლენა შეიძინეს საერობო საქმეთა მსვლელობაზე საზოგადოთ და თანამდებობის პირების დანიშვნაზე კერძოთ. ამ მხრივ საგანგებო ყურადღების ღირსია სახალხო სკოლების მასწავლებლები მიუხედავთ იმისა, რომ ინსპექტორმა არ დაამტკიცა თანამდებობაზე 40 პროცენტი მასწავლებლებისა, რომელნიც გამგეობასთან არსებულ კომიტეტმა წარმოადგინა. ბუნებრივი შედეგი ასეთი პირების სიმრავლისა მასრაში ის იყო, რომ სასკოლო სწავლება ვახდოს არსებულ სახელმწიფო წესწყობილებისა და სარწმუნოების წინააღმდეგ პროპაგანდის იარაღათ. როცა ბუნების მეტყველებიდან კითხულობდენ რასმე სკოლაში, ის აზრი გაყავდათ, რომ ღმერთი არ არისო, მსოფლიოში მხოლოდ ბუნების ძალანი მოქმედებენო და სხვა. სხვათა შორის, ნოვოტორჟის ერთ მასწავლებლის ბინაზე იპოვეს რევოლუციონურ გამოცემათა საწყობი და თან გამოირკვა, რომ ამ გამოცემათ ავრცელებდენ მასწავლებლები მოსწავლეთა შორის და ამათის საშუალებით დიდებშიაც. აღმოაჩინეს, რომ მასწავლებლები უკითხავდენ მოსწავლეთ ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებთ, რომელნიც მთავრობისა და ეკლესიის წინააღმდეგ აზრებს უნერგავდენ ბავშვებს; და თუ ნება დართულ წიგნებს ჰკითხულობდენ, ისეთ განმარტებას უკეთებდენ, რომ სახელმწიფოსა და სარწმუნოება-ზნეობის წინააღმდეგ გრძნობებს უმტკიცებდენ. მაგალითათ, პუშკინის „კაპიტანსკაია დოჩკა“-ს კითხვის დროს, უჩვენეს ბავშვებს ბუნდოვანი სურათები, სადაც წარმოდგენილი იყო, ბრბო როგორ აღჩნობდა თავად-აზნაურობას, და თან შესაფერადაც განუმარტეს, რამდენათ მტკიცეთ ადგენ სწავლების ასეთ გამრყენელ მიმართულებას, იქიდან სჩანს, რომ სახალხო სკოლის ბევრ მოსწავლეთა რვეულებში ნახეს აღმაშფოთებელი და თავხედური დაცინვა ეკლესიისა და სამღვდლოებისა. ასეთ მდგომარეობაშია სასკოლო საქმე ტვერის გუბერნიის ზოგ ადგილას და მით უფრო აღსანიშნავია ტვერის საგუბერნიო საერობო კრების წარსული წლის დადგენილება სასკოლო კითხვის შესახებ ტვერის მასრაში. ტვერის მასრის ერობა შუამდგომლობდა, საერობო სკოლები სასულიერო უწყებას გადაეცესო; საგუბერნიო კრება უსაფუძვლოთ შევიდა ამ შუამდგომლობის განხილვაში და დაადგინა მიიღოს მთელი წყება დასასჯელ ღონის ძიებათა სამაზრო ერობის წინააღმდეგ: მოესპოს ტვერის მასრის სკოლებს კრედიტი მედიკამენტებისა და სასწავლო საგნებისა მას შემდეგ, რაც სასულიერო უწყების ხელში გადავა; მოეთხოვოს, რომ დაუყოვნებლივ დაუბრუნონ საგუბერნიო ერობას ყველა ის სესხები, რომელიც კი გაუტანია ერობას სასკოლო ამშენებელ თანხიდან, და სხვა: ამასთან საგუბერნიო კრებას კარგათ ესმოდა, თუ რამდენათ სამძიმო შეიქნებოდა ისეთი დადგენილება ტვერის მასრის მცხოვრებლებისათვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობამ და იმ გარემოებამ, რომ ახალ გამგეობის წევრების არჩევანი ტვერის გუბერნიასა და ნოვოტორჟის მასრაში საბუთს არ იძლევა, რომ ნაჩვე-

ნები სამწუხარო მოვლენანი აღარ განმეორდებიან, აიძულეს შინაგან საქმეთა მინისტრი წარედგინა მის უდიდებულესობისათვის უქვეშევრდომილესი მოხსენება; მინისტრმა საქმეთა სცნობდა: 1) მიენდოს მინისტრს, დანიშნოს შუამდგომლობის წლისთვის ტვერის საგუბერნიო და ნოვოტორჟის სამაზრო საერობო გამგეობათა თავმჯდომარენი და წევრნი ისე, რომ საერობო კრებას ნება აღარ მიეცეს მოახდინოს კანონით დაწესებული არჩევნები ამ თანამდებობაზე; ამასთან აიკრძალოს განზრახული საგანგებო კრებანი ტვერის საგუბერნიო და ნოვოტორჟის სამაზრო ერობებისა; 2) დარჩეს 1904 წლისთვის ტვერის საგუბერნიო შემოსავალ-გასავლის წინა წლის აღრიცხვა და განაწილება იმ პირობით რომ, თუ საჭირო იქნება შეცვლი ან დამატება, შინაგან საქმეთა მინისტრმა უმაღლესი ნებართვა აიღოს; 3) ნება-რთვა იმ საქმეების განხილვისა, რომელიც ტვერის საგუბერნიო საგანგებო და ნოვოტორჟის სამაზრო საერობო კრებას უნდა წარედგინოს, დართულ იქმნას იმ წესით, რა წესიც აღნიშნულია საერობო დაწესებულებათა დებულების მე-95 მუხლში; 4) ნება მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს, აუკრძალოს ხოლმე ტვერის გუბერნიასა და იმის სხვა და სხვა ადგილებში ცხოვრება ისეთ კაცებს, რომელნიც მავნეთ მოქმედებენ საერობო მართვა-გამგეობის მსვლელობაზე; 5) ნება მიეცეს ტვერის გუბერნიატორს დაითხოვოს ერობის სამსახურიდან საზოგადო წესიერებისა და მშვიდობიანობისათვის მავნე პირნი.

ამ უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე იმისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ 8 იანვარს 1904 წელს კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა: „თანახმა ვარ“

**ახალი კანონი**

ამ წლის პირველ იანვრიდან შევიდა ძალაში 1903 წლ. 2 ივნისის კანონი, რომელსაც მომავალ ცხოვრებაში მეტათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექმნება, რადგან იგი ისეთ სფერას განსაზღვრას, რომელიც დღემდინ განუსაზღვრელი იყო ჩვენ კანონმდებლობაში. ეს კანონი ადგენს ახალ წესებს, რომელთა მიხედვით უნდა მიეცესთ სასყიდელი კერძო სამრეწველოებში უბედურ შემთხვევათაგან დაზარებულ მუშებს და მათ ოჯახებს. ჩვენ არ შევუდგებით აქ მის გარჩევას (ქვევით მოგვყავს სავსებით ეს წესები) აღნიშნავთ მხოლოთ იმ გარემოებას, რომ კერძოთ ამ შემთხვევისთვის დღემდინ განსაკუთრებული წესები არ არსებობდა. დაზარალებულს საზოგადო წესით უნდა ეძებნა თავისი ზარალის ანაზღაურება და ამასთანავე დღემდინ მას უნდა დაემტკიცებია რომ უბედურების მიზეზი მრეწველი იყო. ახალი კანონი კი მხოლოთ იმას თხოულობს, რომ უბედურების მიზეზი თვით დაზარებულის ბოროტი განზრახვა არ უნდა იყოს ან კიდევ მისი არა საპატიებელი გაუფრთხილებლობა და ორივე ამ გარემოებათა არსებობა მრეწველმა უნდა დაამტკიცოს, უამისოთ კი ის ვალდებულია სასყიდელი გაიღოს. ეს ნაბიჯის წინ გადადგმა. მეორე მხრით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალი კანონი მუშის საპატრონო დარჩენილ წევრებს ან თვით დაზარალებულთ მისი ქირის მხოლოთ ორ მესამედს აძლევს უკეთეს შემთხვევაში, დღემდინ კი სასამართლოთა პრაქტიკით, თუ კი მუშა დაამტკიცებდა რომ უბედურების მიზეზი მწარმოებელი იყო მისთვის ზარალი სავსებით უნდა აღედგინათ. ამ მხრით ახალი კანონი ძველს ჩამოუყარდება. სხვა მხარეებს ვეცდებით სხვა დროს, ადვილათ შეიძლება სხვა ადგილს, შევეხოთ აქ კი მხოლოთ ამ მცირე შენიშვნას უძძღვარებთ წინ და ვიტყვით რომ ყოველი ასეთი კანონის იდეალი არის მწარმოებელთა განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა, გარდა რასაკვირველია იმ შემთხვევისა, როცა დაზარებული განზრახ იშვეფს თავს, ეს ბოროტ-მოქმედებაა და სისხლის სამართლის საქმეა.



# წესები

უბედურ შემთხვევას გან დაშვებულ მუშათა, მისამსახურეთა და ზღრუთვე მათი ოჯახის წევრთათვის სასყიდლის დანიშნის საფაბრიკო-საქარხნო, სამთო და სამთო-საქარხნო-სამრეწველოებში.

(1903 წლის 2 ივნისის კანონი).

1. როცა მუშათ უბედურება შემთხვევით საფაბრიკო-საქარხნო, სამთო და სამთო-საქარხნო სამრეწველოებში (სამრეწველო დებულების 1 და 2 მუხ.; სამთო დებულ. 1 და 2 მუხ.) ამ სამრეწველოთა პატრონები ვალდებული არიან მისცენ სასყიდელი მუშებს განურჩევლათ სქესისა და ხნოვანებისა თანახმად ამ წესებისა, თუ მათ სამ დღეზე მეტი ხანი ვერ შეძლეს მუშაობა სხეულის დაზიანების გამო, თუ ამის მიზეზი სამრეწველოს საწარმოვით მუშაობა იყო ანუ მისგან არის გამოწვეული. თუ იმავე პირობებში მომხდარი უბედურების შედეგი მუშის სიკვდილია (11 მუხ.), მაშინ სასყიდელი ეძლევა მისი ოჯახის წევრთ, რომელნიც ჩამოთვლილი არიან მე-12 მუხლში.

2. სამრეწველოს პატრონი მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება მუშათა და მათი ოჯახის წევრთათვის სასყიდლის გაღებისაგან თუ დაამტკიცებს, რომ მომხდარი უბედურების მიზეზი იყო ბოროტი განზრახვა თვით დაშავებულისა ანუ აშკარა გაუფრთხილებლობა, რომელსაც მუშაობის წარმოების პირობები და მდგომარეობა ვერ გააძარცვებენ.

3. სამრეწველოს პატრონი ვალდებულია ამ წესების თანახმად დააკმაყოფილოს მუშები და მათი ოჯახის წევრები მაშინაც-კი, როცა ის სამუშაო რომელმაც უბედური შემთხვევა გამოიწვია იჯარით იყო გაცემული მესამე პირზე. იჯარით გაცემათ არ ითვლება თუ სამუშაო სხვა დამოუკიდებელ სამრეწველოზეა გადაცემული.

4. ყოველგვარი უბედურების მოხდენამდის, შეკრული პირობა (შეთანხმება), რომლის მიზანია შეზღუდოს ამ სასყიდლის უფლება ან შეამციროს მისი რაოდენობა, მოკლებულია ძალას.

5. სასყიდელი ეძლევა დაზარალებულთ ან შემწეობისა და ან პენსიის სახით.

6. შემწეობა (მუხ. 5) ეძლევათ უბედურების მოხდენის დღიდან მუშაობის შეძლების აღდგენამდე ან მანამდინ სანამ დაზიანება სამუდამოდ არ იქნება ცნობილი. (მუხ. 26) რაოდენობა ამ შემწეობისა განისაზღვრება ნაძვილი ხელფასის ნახევრით.

7. პენსიები ენიშნებათ სამუდამოდ მუშაობის შეძლების დაკარგვის დროს, როცა იგი სრული ინვალიდია—წლის ქირის ორი მესამედი (16 მუხ.), და თუ სრული არაა მაშინ უფრო ნაკლები, მიხედვით იმისა, თუ რამდენათ დაკლებულია მუშაობის შეძლება (26 მუხ.)

8. პენსიები ეძლევათ იმ დღიდან, რომლიდანაც ისპობა შემწეობის მიცემა. იმ შემთხვევებში, როცა პენსია შემწეობაზე მეტია, დაშავებულთ პენსიის გარდა მიეცემათ ერთდროულთ მთელი ჯამი, რომელიც დააკლდათ შემწეობის მიღების დროს პენსიის დინიშნამდი უბედურების დღიდან უკანასკნელის რაოდენობის მიხედვით.

9. მცირეწლოვანთა და უწლოვანთა პენსიები გადიდებულ უნდა იქნენ როცა პირველნი მიღწევენ უწლოვანობის ხანას, ხოლო მეორენი სრულ წლოვანობას, თანახმად იმისა თუ როგორ მატულობს საშუალო დღიური ხელფასი ხსენებულ ხნოვანობის ჯგუფების შავი მუშისა.

10. დამოუკიდებლათ იმ სასყიდლისა, რომელიც მოხსენებულია მე-5 მუხლში, სამრეწველოს პატრონი ვალდებულია უზღოს დაშავებულს ექიმობაში გაწეული ხარჯი, თუ უკანასკნელს არ უსარგებლნია უსასყიდლო ექიმობით მისგან,

ავადმყოფობისაგან განთავისუფლებამდინ ან იმ დრომდინ სანამ ექიმობა გაგრძელდა. ეს ანაზღაურება უნდა მოხდეს იმ სასყიდლის მიხედვით, რომელსაც იღებენ ადგილობრივ საფაბრიკო-საქარხნო, სამთო და სამთო-საქარხნო-სამრეწველოებში (სახაზინო, ქალაქის და ეროვნულ-სამრეწველოებში).

11. იმ შემთხვევაში თუ დაშავებული გარდაიცვალა, ან უბედური შემთხვევის მოხდენის თანავე ან შემდეგ დაშავებული სხეულის ექიმობის დროს ან არა უგვიანეს ორის წლის იმ შემთხვევის შემდეგ, თუ ექიმობას ადრე დაანება თავი, სამრეწველოს პატრონი ვალდებულია: ა) გადაუხადოს ვისაც ეკუთვნის დასამარხი 30 მან. სრულ წლოვანისა და უწლოვანისათვის. ხოლო 15 მან. მცირე წლოვანისათვის და ბ) აძლიოს პენსიები მე-12 მუხლში მოხსენებულ გარდაცვალებულის ოჯახის წევრთ.

12. გარდაცვალებული მუშის ოჯახის წევრთ ეძლევათ პენსიები მისი წლიურის ქირის (16 მუხ.) შემდეგი ნაწილაკები: 1) ქვრივს მესამედი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ბ) შვილებს კანონიერთ, დაკანონებულთ, ნაშვილევთ, ქორწინების გარეშე შეძენილთ, გაზრდილთ და შვილათ აყვანილთ (შენიშნ. 570 მუხ. წოდებ. კანონ.), სანამ ისინი 15 წლის შეიქმნებიან ერთი მეექვსედი თუ ერთ-ერთი მშობელთაგანი ცოცხალი ყავთ, თუ არა ერთი მეოთხედი, გ) მშობლებს მეექვსედი თითოს მათ სიცოცხლეში და დ) ძმებს და დებს თუ ისინი უდღემამო არიან 15 წლამდე თითოს მეექვსედი. ამ მუხლის გ. და დ. პუნქტებში აღნიშნულ პირთ და ავრეთვე ქორწინების გარეშე შობილ შვილებს პენსიები მხოლოდ მაშინ ეძლევათ, თუ ისინი გარდაცვალებულის საპატრონო იყვენ.

13. თუ ქვრივი გათხოვდა მაშინ მუდმივი პენსიის ნაცვლათ მას ეძლევა სამი წლის ხვედრი ერთ-დროულათ.

14. შვილებს, გაზრდილთ და შვილათ აყვანილთ (პ. ბ 12 მუხ.) თუ მათ ორივე მშობლები 1 და 11 მუხლებში აღნიშნულ პირობებში მოუკვდათ, ეძლევათ სრული ჯამი ორივე მშობლების დაკარგვის ხვედრისა.

15. საერთო ჯამი იმ პენსიებისა, რომელნიც დაენიშნებათ მე-12 მუხლში მოხსენებულ პირთ არ უნდა აღემატებოდეს წლიური ხელფასის ორ მესამედს, და თუ ამაზე მეტი დადგა, მაშინ მე-12 მუხლის ა და ბ. პუნქტებში მოხსენებულ პირთ უპირატესობა ეძლევათ სავსებით დაიკმაყოფილონ თავი, ხოლო იმათ რომელნიც შემდეგ გ. და დ. პუნქტებში არიან მოხსენებული უნაწილდებათ დანარჩენი მათ შორის თანასწორათ განაწილებით. თუ ზევით მოხსენებულ საზღვარს ამ ჯამმაც გადააცილს, რომელიც ენიშნებათ პირველ ორ პუნქტებში მოხსენებულ პირთ, მაშინ მათი პენსიების რაოდენობა შესაფერათ მცირდება. გარდაცვალებულის ოჯახში მომხდარ ცვლილებას (შემდეგ მისი გარდაცვალებისა) არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ განაწილებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთ დროს დაიბადებიან მისი კანონიერი შვილი.

(შემდეგი იქნება)

## სხვადასხვა ამბები

„ფინლიან. კაზ.“-ში დაბეჭდილია: „20 დეკემბერს ქალაქ ნიკოლაისტადის პოლიციისტერმა ენგელმმა მიიღო ხელ-მოუწერელი წერილი, რომლითაც ვილაც ქალი საარშიყოთ იწვევდა და სანახავათ ქალაქის ნაპირა, გაყინულ ზღვას უნიშნავდა. ამის შემდეგ პოლიციისტერთან ახალგაზდა ფინეთი ქალი მივიდა, გააფრთხილა იგი და აღიარა, წერილი ჩემი დაწერილიაო. სამმა კაცმა დამარბგეს, წერილი დამაწერინეს და ხანჯალიც მომცესო. პოლიციელნი და პო-



ლიცმებისტერი დანიშნულ ადგილას მივიდნენ და დაიჭირეს ორი კაცი, რომელნიც გელსინგუორსის უნივერსიტეტის სტუდენტები აღმოჩნდნენ. ერთი ერისკონია, 21 წლის, მეორე ვესტლინი, 22 წლისა. ორივეს რევოლვერები, დანები, ჯოხები და ბევრი ფული უპოვეს. იმათი მესამე ამხანაგი, რკინის გზის მუშა ტონგი, თავის სახლში დაიჭირეს. ერისკონიამა და ვესტლინამა სთქვეს, რომ ჩვენ პოლიციებისტერზე ძალიან გაჯავრებულნი ვიყავით, რადგან იგი რუსეთის პოლიტიკის მომხრეა და მისი მოკვლა არ გვინდოდა. ჩვენ იმისი ცემა გვინდოდა და სხვა არაფერი. ვესტლინის იარაღის გარდა მრავალი საწაწლავეებით სავსე ყუთი უპოვეს, ერისკონის ვესტლინის ორი წერილი, სადაც ბუნდათ რაღაც საქმეებზეა ლაპარაკი. ამ საქმეს სენატის პროკურორის ზედამხედველობით არჩვენ.

„კავკას“-ში დაბეჭდილია კავკასიის მთავარ-მ.ტ.ბლის სავალდებულო დარგენილებანი ქალაქ სოხუმისა და სოხუმის ოლქისათვის. ამ სავალდებულო დადგენილებათა ძალით ხსენებულ ქალაქსა და ოლქში პირველ თებერვლიან აღკრძალული იქნება ყოველ გვარი იარაღების ტარება.

დობროვის ქვა ნახშირის მადნებში დიდი უბედურება მომხდარა. დომენის ფეხებთან მიწას თხრიდენ. ეს მიწა 30 წლის წინათ ყოფილა დაყრილა. მიწა ჩამონგრეულა და მუშები ქვემ მოყოლებია. იმავე დროს ფეხებიდან ცეცხლის ძლიერი აღი ამოვარდნილა და იქ მდგომი დაუწვავს. ჯერ-ჯერობით 10 საშინლათ დასახიჩრებული მკვდარი იპოვეს. დაღუბულთა რიცხვი 50 კაცზე მეტიაო. სამუშაოს გამგე ინჟინერი ფუდერი, მეტის მწუხარებისაგან ქკუდან შეშლილა.

ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ გამართული საცეკვაო საღამოს შემოსავალი 2000 მან. მეტი ყოფილა


რკინის გზის გამგეობის განკარგულებით, იმ მოსამსახურეთ, რომელნიც ავადმყოფობის ფურცელს (ბიულეტენს) აიღებენ და რკინის გზის ექიმს კი არა კერძო ექიმს აჩვენებენ და ისე დააკლდებიან სამსახურს, ეს დაკლებული დრო სამსახურში არ ჩაეთვლება და ჯამაგირიდანაც შესაფერი 1/10 გამოერიცხებათ.

„პრ. კრ.“-ში დაბეჭდილია: „იურიევში შემოღებული გაძლიერებულ დაცვის წესები 1904 წ. 1 დეკემბრამდე დარჩება“.

18 თებერვლისთვის თფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულა განსახილველოთ ხოზბეროვის, გუდაძის და სხვა 12 კაცის საქმე რომელთაც 14 ივლისს მიხაილოვში არეულობის მოხდენა ბრალდება. როგორც ვიცით ოლქის სასამართლომ 12 ივნოს დამნაშავეთ, მეცამეტე კი გ. გუდაძე გაამართლა, მარა პროკურორის პროტესტის გამო კვლავ ბრალდებულთა რიცხვში არის. დაახლოვებით შუათებერვალში გაირჩევა პალატაში მანჯგალაძისა და სხვ. საქმე, რომელთაც 16 ივლისს ქ. თფილისში, ბათომის მოედანზე პოლიციის წინააღმდეგობა ბრალდებათ.

ქართული დრამატიული გამგეობის დასმა სამშაბათს 20 იანვარს სახაზინო თეატრში წარმოადგინა თ. სუმბათაშვილის „ლალატი“. მიუხედავად იმისა, რომ როლები პირველ ხარისხიან არტისტებს ქონდათ მინდობილი, წარმოდგენამ მეტათ სუსტათ ჩაირა. საზოგადოება რომელიც ძლიერ ბევრი დავს წრო, მეტათ უკმაყოფილო დაბრუნდა თეატრიდან.

კორესპონდენციები



**მთიანისი.** ქუთაისის ბულვარს, როგორც უნდა იყოს, დღესაც ბლომათ ამშვენებს სხვა და სხვა არაა სასაფრთხოების ცნიერების ტაძრიდან“ რტ. ალვილი ახალგაზდობა. მათ რომ კითხოთ დღეს აქ რას აკეთებთ, რისთვის ჩამოსულხართო, დიდის აპლომბით გიპასუხებენ: დღემანდელ მდგომარეობაში ჩვენი ასეთი საქციელი სამერმისო ჩვენი კარიერიერისათვის (sic!) დიდი წინ დახედულებათა და სხ. მაგვარ თავის მართლებას მოისმენთ თუ მოთმინებას იქონიებთ და ყურს დაუგდეთ. მაგრამ ამათ თავის მართლებით მკითხველს ახლა აღარ შევაწყენ და მის ყურადღებას წარმოუდგენ შემდეგნაირ ფაქტებს იმათ აქაურ ცხოვრებიდან, რის მნახველიც აქ დღეებში ჩემდა უნებურათ შევიქენი.

ადესელ სტუდენტ(ეგნატიევს)მრეცხავ ს.ძის ქალისათვის სარეცხი მიუცია. მასაც გაურეცხავს თუ არა სარეცხი გაუგზავნია ბავშვის ხელით პატრონისათვის და დაუბარებია ხვედრი ფულს—2 მ. 50 კ. გამორთმევა. სტუდენტს ბავშვისთვის ფული არ მიუცია და შეუთვლია თვითონ ის მოვიდეს და გაუსწორდებიოთ. მაგრამ ბავშვის დედა ავათ ყოფილა და ვერ წასულა ანგარიშის მისაღებათ და გაუბრუნებია ისევ შვილი რომ გამოეგზავნათ რაც ერგებოდა. სტუდენტს ბავშვისთვის ფული მაინც არ მიუცია და წყრომით უთქვამს: ხვალ დილას დედა შენი უსათუოთი მოვიდესო. რადგან ავათმყოფისათვის ფული საჭირო იყო, იგი ამდგარა ლოგინიდან და წასულა ფულის მისაღებათ, მაგრამ ვაი იმისთანა მიღებას მას რომ ამ სტუდენტის ოჯახში მიუღია... შეუდგამს თუ არა კარებში ფეხი გულქვა მასპინძლებს (სტუდენტს და მის ცოლს) მაშინვე შეუყვირიათ მისთვის: შენ ქალბატონო, ჩვენი სარეცხი მოგიპარავს, ორი პერანგი აკლია და ფულს კი არა თავის ტეხას მოგცემო, და მართლაც 2—3 წუთში გაბრაზებულ გუნებაზე წამოსროლილი სიტყვები ნამდვილ თავს სატეხათ გადუქციეს საბრალო ქვრავ დედაკაცს. ისიც ამგვარ უღანაშაულო გალანძღვაზე აენტო და შეეკამათა თავის მოპირდაპირე ქალს და დაუწყუო მტკიცება, რომ მე თქვენგან მეტი სარეცხი არ წამიღია ამას არაფერი არ აკლია და ჩემი ნაოფლარის წართმევით თქვენ არაფერი შეგეძინებათ, ამა! ნუ ეკადრებთ, ჩემი მომეცით და სხ. მაგრამ ამ ხვეწნას იმათ ყურიც არ ათხოვეს; პირიქით, ღირსეულ სტუდენტის ღირსეულმა მეუღლემ ასეთი სიტყვის შებრუნება მრეცხავისაგან ძრიელ იუკადრისა, წაავლო მას ხელი, შეათრია ზალაში, სადაც მათ მეტი არავინ იყო და შეუყვირა: „როგორ თუ შენ მე ამისთანებს მიბედავ, შენი ტილო ხომ არ გგონივარ“ და მოდგა მის ლანძღვას ამ ტემაზე. თავის სიმართლეში დარწმუნებულმა ქვრივმა მაინც არ შეაწია სიტყვა „ნასწავლ“ ქალბატონს და მოახსენა: „ვითამ რა დიდი კაცის შვილი ბრძანდები, რომ სიტყვის თქმაც ვეღარ გაგიბედოს ადამიანმა და ჩემი სიმართლე ვეღარ აგიხსნაო“. ამის გამგონე ქმარმა-სტუდენტმა წაავლო მას ხელი და ორთავემ დაუწყეს ქალს ცემა თუ ცხვირ-პირში, თუ ტანზე, თუ თმის წეწვა და კაწვრა—ზალაში დამწყვედულმა დედაკაცმა მორთო კივილი-ჩხივილი, მაგრამ გარეშე მშველელი არავინ გაჩნდა, წივილი-კავილზე შემოვარდა მხოლოთ სტუდენტის მოხუცებული მამიდა მარა ორ გაშმაგებულ ახალგაზდა მეომრსათან შინაური გამზავებელი ამა რას გახდებოდა!

მიუხედავად იმისა, რომ საბრალო ქალი მაინც ვევედრებოდა, ნუ მკლავთ, ნასწავლი ხართ, ნუ კადრულობთ ამას, ჩემ წანაგლეჯს ღმერთი არ შეგარგებსო,—უბრალოზე გამხმ



ცებულთა გული ამანაც ვერ მოაღბო და მათ თავინთი ჟინი მიინც ამოიყარეს და ნაცემი, გულ-მკლავებ და ცხვირ-პირ დაკაწრულ, თმა და ტანისამოს დაგლეჯილი პანდურის ცემით გამოადდეს გარეთ. მაგრამ უბედური, გულშემზარავი სცენა ამით როდი დამთავრდა. გარეთ გამოგდებულმა ქალმა მეტი რომ ვეღარა იღონა, ფანჯრებს დაუწყო მტკრევა, რომ ეს ანბავი გარეშე ვინმეს გაეგო. მაგრამ მისდა საუბედუროთ ვერც ამით მოიპოვა მშველელი, მოწმე. სტუდენტმა იგი ისევ, თურმე, შეათრია სახლში, განუმორეს ისევ ცემა-ტყუპა და პანდურის ცემით ჩამოადდეს კიბეზე, სადაც უკვე გამოჩნდნენ მნახველები, მაგრამ რაღა დროს. არაქათ გამოღეუ-ლმა ქალმა მ შინშე ექიმს მიმართა, რომ იმას მაინც შეემო-წმებინა ამგვარი მხეცური მოპყრობის შედეგი — მისი გალა-ხულობა. მართლაც ავივლებულ-ატირებული შესაბოლის სანახაობას წარმოადგენდა იგი ექიმის წინაშე ამ ამბის მო-ყოლის დროს: ფერ დაკარგული, მკლავები ცემით დაღურ-ჯებული და ფრჩხილებით სულ დაკაწრული, ტანისამოსი დაფხრეწილი და თმა გაწეწილი და ტალახში ამოსვრილი, იგი ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებდა და დარცხვენილი ექიმს ხშირათ უმეორებდა თითქოს მას სამართალს სთხოვდა: უკა-ცრავათ ბატონო, რომ გაწუხებთ, მაპატივეთ, მაგრამ სწო-რეთ არ მეგონა თუ სტუდენტი, ნასწავლი კაცი, ამას იკად-რებდა და ქალს ასე შეურაცყოფას მამაყენებდა; მე საწყა-ლი, ღარიბი ქალი ვარ და იქით მივცემდი ორ-სამ მანეთს ოღონდა იმ ოქერ ტიალს ასე არ გაველანძღე. ახლა, ბატო-ნო, თქვენ მოწმობას გთხოვ, მეტი არაფერი დამრჩენია სუ-ღში უნდა უჩივლო და თავის ტოლ-ამხანაგებშიაც შევარცხ-ვინო ეს სვინიდის გაწყვეტილებით.

ესაა მკითხველო, აქაური სინამდვილე და განა შესაძ-ლებელი და სახარბიელოა ამის მიფუჩეჩება „ოდან უზულ“- მშრომელი ქალისაგან ერთას მხრით და მეორე პრესისაგან ამ ამბის გამოუქვეყნელობა?..

იგია.

**ს. დიდი-ჯიხანიში.**

უფულობამ შეაწუხა ყველა, მაგრამ განსაკუთრებით გლახა მდგომარეობაში ჩააყენა მან ჩვენი ბო-ბოლა თავად-აზნაურები. საწყალი გლეხი ყოველ გაჭირვებას იტანს ძალაუნებურათ—მხოლოთ თავადები ჯერ ვერ შეეჩვი-ენ ასეთ მდგომარეობას... ხომ მოგეხსენებათ მათ უფრო „რთული მოთხოვნისა“ აქვთ და „ქამის მადაც“ უკეთე-სი... როდესაც შემოაკლდებათ სახარჯავათ ფული, მაშინვე რაღაც ორიოდ დარჩენილ ქცევა მიწას მოუხდომებენ გაყი-დვას ან დაგირავებას. მხოლოთ უბედურება ისაა, რომ სა-თავად-აზნაურო კრება ცალკე ითხოვს ბანკში მიწა ნუ შევა-ქვსო და „ივერიათ“ ხომ რამდენი ხანია აუკრძალა—გარეშე პირს ნურავის მიყიდით თქვენ ადგილებს, ისევე მაქ, შენ სოფელელ გლეხებზე გაანადღეო. ერთ ჩვენებურ თავადსაც დაუჯდა ქკუაში ასეთი მამაშვილური რჩევა და კარგათაც გა-მოიყენა, კარგი მოუვა მას... მან მიმართა გლეხებს, მაგრამ გლეხი ხომ ღარიბია და მიწას, როგორ იყიდის? თავადს კი სწორეთ ფული ესაჭიროებოდა... ამისთვის მან ერთი ქცევა მიწა ორ გლეხს მიყიდა; ორივედან ფული აიღო და შექამა... კარგი მადა აქვს... რა ქნას? გლეხებმა ერთმანეთი აღარ ჩაუ-შვეს, მოუვიდათ ჩხუბი მიცვიდნენ ერთი მეორეს, ჯერ თავ-პირი დაამტკრიეს და მერმეთ ჩვეულებრივად დაიწყეს საჩივ-არი. თითო გლეხს 200 მან. არ ყოფნია თუ საექიმო, თუ ს-ჩივარში. ის მიწა კი ღირდა დიდი დიდი 50—60 მ. თავადს ბან-კში ხომ ორ წილს არ მიცემდნენ და ვერც ორჯელ დააგი-რავებდა. ახლა ერთი გლეხი თხოვს ჩემი ფული მაინც დამი-

ბრუნეო, მაგრამ ის დღეს ხელობით იცილებს. კიდევ კარგი თუ ფული მაინც არ წაართვა.

რამდენი ამისთანა და ამხედ უარესიც უნდა გვინდობს ცხოვრებაში, მაგრამ ვინ ყავს მას პატრონი—ვინ იმსახურებს ყურადღებას, რომ გლეხი ღარიბი და გაჭირვებულია. ათას-ნაირი გადასახადი თუ სახელმწიფო, თუ სასოფლო კისერზე აწვეს საწყალ გლეხს და ისიც პაპანწყვეტით ეწეოდა და ეწევა ეხლაც თუმც გლეხი თანდათან ლატაკდება და უჭირს ლუკმა პურის შოვნა, მაგრამ მოთხოვნის რიცხვი თან და თან მატულობს და ორკეცდება და მისი მდგომარეობა კიდევ უფრო უნუგეშო და აუტანელი ხდება. ახლა ჩვენი სოფლის მრევლი შეუდგა, ქვის ეკლესიის შენებას. ეკლესია 12 ათა-სიმანეთი უჯდება. საქმის მეთაურობა და წინ გაძღოლა მია-ნდვეს ერთ აქაურ „სემინარიელ“ მღვდელს, ამბობენ საქმეს კარგათ წაიყვანსო.

ორიოდე სიტყვა აქაურ სამკითხველოზე. სამკითხველო ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია; ერთი რომ საკუთარი შენობა არა აქვს, მეორე წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ცოტაა, მაგ-რამ რაც არის ისიც არ მოდის თავის დროზე; თუ ვინი-ცობაა მოვიდა, სამკითხველოში ვერ ნახავ ვერც ერთს გა-ზეთს... დაატანს ხელს ვინც მოასწრებს და მიარბენინებს სახლში, დარწმუნებული უნდა იყო რომ შემდეგ აღარც და-აბრუნებს. მოდის მკითხველი ორი სამი ვერსის სიშორიდან და ხელ ცარიელი ბრუნდება. ჟურნალ-გაზეთებიც რომ იყვეს მაინც ვერას წაიკითხავ, რომ წაიკითხო რას გაიგებ, სამკით-ხველოში მუდამ ყვირილი და ხმაურობაა. თუ სადმე მოქეი-ფე „ძმა-ბიჭებია“ და ან ცუდათ მოხეტიალე თავად-აზნაურე-ბი ყველა იქ იკრიბება, საკითხავათ კი არა სალაყბოთ; იმათ რა გაემტყუნებათ, რომ ადგილობრივი ინტელიგენცია, გან-საკუთრებით მასწავლებლები და „სემინარიელი მღვდლები“ ისეთს ამბავს ჩადიან, რომ მათი საქციელის მკითხველს რცხვე-ნია. ჟურნალ-გაზეთებს, ხომ არც ერთი არ იწერს (გარდა ერთი მღვდლისა). ნუ თუ ინტელიგენციამ ამდენიხანია ვერ შეიგნო, რომ სამკითხველო სალაყბო სახლი არაა? ნუ თუ მათთვის, ერთი ჟურნალის ან გაზეთის გამოწერა მოუხერხე-ბელია? თუ კი სულ უბრალოთ 5—6 მ, დახარჯავს. ჩვენი ექიმიც ძლიერ გაჭირვებულია უფულობით, ფულიც რომ ქონდეს გაზეთის გამოწერას მაინც ვერ ახერხებს.

ვგონებ სამკითხველოს გამგემ წეს-რიგის დიწყარებას ყურადღება, რომ მიატციოს მეტი არ იქნება.

„არ ვიცი“!

**სხვათა შორის...**

მოთხრობა

ალექსი კაკაღაშვილის ხანმოცობი.

(შემდეგი \*)

IV

„მთელი ორი-სამი თვე მე და მაშომ თავდავიწყებაში გავატარეთ. გარეშე ერთმანერთის აღერსისა ჩვენთვის აღარა სუფევდა-რა. აღარც სასაფლაოვა, აღარც ანდროს ხსენება, აღარც ფიხაძის თავგადასავალი, არც მზე და არც მთვარე, აღარაფერი აღარ გვეყურადღებებოდა.

ძმობილმა უთხრა დობილსა,  
მოდო შემოწექ ლოგინსაო!



გრძნეულსავით გიდიხარხარებდა ხოლმე მაშო და უზრუნველი ბავშვებით ერთი ოთახიდან მეორეში დავბოდით, დავკისკისებდით.

„ხალხმა, მეზობლებმა დანიშნულებათ მიგვიღეს და თუმცა ბევრი მანდილოსანთაგანი ბალიახტომში იღებდა (სწყევლიდა) მაშოს ქმრის მალე დაიწყებისათვის, მაგრამ მაინც ბედნიერთა გვთვლიდნენ. ჩვენ კი გვეჯავრებოდა ის ხალხი, რადგანაც მათი ცნობის მოყვარეობა ცოტა არ იყოს გვაიწროვებდა. იმ ჟამათ ჩვენ გარდა ყველა რომ ამოჟღერტილიყო, არას ვინაღვლებდით!..

„ახლა რომ ვუკვირდები ჩემს მაშინდელ ყოფნას, სირცხვილის აღმური მწვავეს და ჩემ თავს ვუდარებ იმ ოთხ-ფეხს, რომელიც ჰყარაულობს ხოლმე თავისს ძუს! ადამიანი?! ყვეპირუტყვებზე უარესია, თუ კი იგი აჰყვა თავისს მხეცურ გულის თქმას!!.

„ხორციელათ გატაცებულნი, მე და მაშოც, ვერიდებოდით ნათელ აზრს და აწმყოთი დარეტიენებულებს ერთხელაც არ გვიფიქრნია მომავალზე. მაგრამ დროთა სვლამ თავისი გაიტანა, საზოგადოებრივმა გრძნობამ ანგარიში მოგვთხოვა და როდესაც დაგვიდუღდა ამღელვარებული სიხხლი, როდესაც თვალიდან ჩამოგვეხსნა პირველ გატაცების რიდე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენით, რომ ჩვენ შუა საშინელი უფსკრული ყოფილა, უფსკრული ერთი-მეორის სხვა-და-სხვაობითა და სხვა გვარობისაგან გამოწვეული.

მაგრამ ორჟოფი კაცის საქმე, ხომ იცი, საალალ-ბედლა. იმდენი ვაჟკაცობა ვერ გამოვიჩინე, რომ ერთის დაკვრით ამომეგსო ეს უფსკრული: სამუდამოთ განვმორღებოდი მაშოს, მისს მაცდურ სიყვარულს! მართალია, იყო ხოლმე ისეთი წუთები ჩემ მაშინდელ ცხოვრებაში, როდესაც მშათ ვიყავ მაშო მიმეტრევიანა, მაგრამ ამავე დროს რაღაც სულელური ეჭვი შემიპყრობდა ხოლმე, რაღაც ბრიყვეული თავმოყვარეობა მიმონავებდა...

მაშო კი დიდი ხანია გამოფხიზლებულიყო და ნელ ნელა შენ-ჩემობა, ანგარიშობანა დამიწყა.

—ახლა, ჯვარი როდის უნდა დავიწეროთო! ხუმრობის გარეშე მითხრა ერთ დღეს მაშომ და მწარეთ ამოიოხრა, თითქოს ამითი უნდა ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ ახლა კი დროა შევეუდგეთ ერთ-ფეროვან, მოწყენილ ცხოვრებას, რომელსაც შეოჯახეობა ჰქვიაანო.

„მართალი გითხრა, მე დი ხანია მოველოდი ამ წინადადებას, მაგრამ მის გაგონებაზე გული მაინც გადმომიქანდა და ერთის თვალის დხამხამებაზე ჩემი რვალისებური „მე“, ჩემი გამოფხიზლებული არსება საწინააღმდეგოთ მოემზადა. ჰო თუ არა გრიგალივით დატრიალდნენ ჩემის გულის სიღრმეში და ისეთი თავზირი დამცა უკუღმართ მომავლის მოლოდინმა, რომ კინაღამ ხარივით არ დავიბლავლე:

— არა, მე ჯვარის დამწერი არა ვარ მეთქი!..

„მართლადაც, განა მე საოჯახო კაცი ვარ? ერთი რაღაც მხდალი და უხასიათო ადამიანი განა შევძლებდი რიგვიან მეოჯახეობას, მერე იმისთანა მეუღლესთან, როგორიც იყო მაშო?

„ჯვარი დავიწეროთო! უდიერთ მითხრა მაშომ და მე კი ამ დროს საშინელი სურათი წარმომიდგა: ერთის მხრით ვნებათა-ღელვათ გარდაქცეული ცოლი, რომელიც მუდამ გართობაზე, კაბებზე, ცეკვა-თამაშზე და არშიყობაზე ჰფიქრობს, ხოლო მეორე მხრით, ქედ-მოხრილი და ჩაფიქრებული ქმარი, რომელიც სულ იმის ზრუნვაშია, რომ გროში გროშზე გადააბას ცოლშვილის გამოსაკვებათ, მუდამ წელში მოღუნული, უუკიდურესის სასოწარკვეთილებით შესცქნავის უფროსებს სასახურიდან არ დამითხოვონო... ხელ-მოკლე ყოველივე სა-

ზოგადო საქმეს ივიწყებს, უფროთხის... შეიღებს მოწიწებას და მორჩილების ქვეშა ზრდის, ყოველივე თავისუფალ მისწრაფებას უხშობს ნორჩ არსებათ, თითონაც ემარტოება და მთელი დღე პირუტყვივით მომუშავე, უხელოდარსებობს იტანს, რომ ლუკმა პური, გაძაღლებული სიცოცხლე შეინარჩუნოს. არა, არა! მე არ მინდა მუდამ მონა, მუდამ ქვეწარმავალი ვიყო-მეთქი! გადავწყვიტე გუნებაში და შევეცადე მაშოსთვის სიტყვა ბანზე ამეგდო, რადგანაც მაშოს კანონიერათ გადამკიდე, მისი ყურ-მოჭრილი მონა და ყარაული უნდა შევქმნილიყავ.

—სანამ შეიღები მოგვეცემოდეს ვიცხოვროთ ჯვარ დაუწერლათ, თავისუფლათ, ვინაიღგან მარტო თავისუფალი დამოკიდებულება აფაქიზებს-მეთქი ადამიანებს! როდის-როდის ვუთხარი მაშოს და თავი დავხარე.

—მერე ხალხი, საზოგადოება? ხომ თითით საჩვენებელი გაგხდებითო! დაიწუწუნა მაშომ და მადლობა ღმერთს, რომ იმ ჟამათ მეტი არა სთქვა-რა.

—ხალხი, საზოგადოება? გავიმეორე მე დაცინვის კილოთი, და დავუმატე: მართალია ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ხალხი ჯერ ისეა დაქვეითებული, რომ თვალთ მაქცობა ურჩევნია პირდაპირობას, მაგრამ ჩემის რწმენით კი თავისუფალი პიროვნება უფრო სასარგებლოა ამავე საზოგადოებისათვის და მოდი ამ შემთხვევაში ყურს ნუ დავუგდებთ უვიცთა მითქმა-მოთქმასა-მეთქი.

„მაშო გამებუტა. ოჯახურ მონობასა და ცრუმორწმუნეობაში აღზრდილი იგი ვერ შერიგებოდა საყვარელ კაცთან თავისუფალ ცხოვრებას და ყოველგვარ ხრიკებსა ხმარობდა, რომ ჩვენის ურთიერთობისათვის კანონიერა არშია შემოეველო.

—შენი პირადი სიღარიბე ნუ გაშინებს, ჩემო კარგო, მე ხომ მდიდარი ვარ! აი, ეს მოწყობილი ბინა, ეს სახლი და კარი, დავიწეროთ ჯვარი და ბედნიერთ ვიცხოვროთო! აღარ ისვენებდა მაშო და ჩემს სიღარიბეს, რომელსაც მე სხვათა შორის მოვებლაუქე, თავისს სიმდიდრეს უნაცვლებდა.

„შეიძლება ბევრმა სულელიც დამიძახოს რომ არ ვისარგებლე შა-შხარეულის ქონებით, მაგრამ მაშოს წინადადებაზე მე კი ძალიან ამაღელვა.

„უნდა გამოვტყდე, რომ ამ ჟამათ, როდესაც ყველაფერი უკვე გადამხდა, განვიცადე, ჩემი დანიშნულება ცხოვრებაში, უფრო ნათლათა მაქვს წარმოდგენილი, ზედ მეტათ მეზიზღება ჩემი მაშინდელი ყოფნა და გულის-თქმანი და ამდენი რომა მცოდნოდა, იმ თავითვე იქნება სულის სიმშვიდეც არ დამეკარგნა, მაგრამ არც მაშინ ვყოფილვარ იმდენათ გათახსირებული, რომ თავი გამეყიდნა და საზოგადო გარემოებათაგან დამონავებული, კერძო ადამიანის მონათაც შევქმნილიყავ!

„მაშოს სახლ-კარი ოდესმე ეკუთვნოდა ანდროს, იმ კაცს რომელსაც ისე ჰყვარებია თავისი ცოლი, რომ სულ იმის სახელობაზე დაუმტკიცებია თავისი მონაგარი. ეს თითოეული სტოლი, თითოეული სკამი, ოთახის თითოეული კუთხეც კი მოწმე ყოფილა მაშოს ქმრის სულის კვეთებისა, იმისის ზრუნვისა, ოცნებისა მომავალზე. მე წარმოვიდგინე ჩემი თავი ანდროს ყოფნაში და სისხლი ამემღვრა, დამამკირებლათ და გამათახსირებლათ ვიგრძენ ჩემი აწმყო...

— არა, არა! მე არ შემიძლია დავებატრონო იმას, რაც მარად-ჟამს, შენის ყოფილის ქმრის აჩრდილს გამახსენებს-მეთქი, არასოდეს! დავუყვირე მაშოს და სულ მთლად ავკანკალდი. უნამუსობისა და უპატიოსნობის ქირის ოფლმა დამასხა.

„მაშოს ხმა აღარ გაუცია, უარესათ გაიცხვირა, ბუნღუნსა და ტირილს მოუმატა. იმისი აზრით მე ვაყაჯ ღამნაშავე რომ იგი გზიდან გადავარდა, ქმრის ხსენებაზე ხელი აიღო.



— ნუ თუ? — მეთქი, ვეკითხებოდი ჩემ თავს, ჩემს სინი-  
დისს, მაგრამ სინილის ხმას არა მცემდა და ვგრძობდი კი-  
დეც, რომ ჩვენ დაახლოვებაში, მეც იმდენად ვიყავ დამნაშავე  
რამდენათაც თვით მაშო. უკეთ რომა ვსთქვა, — არც ერთი არ  
ვიყავით პირდაპირი დამნაშავე... ხორცს ხორცი მოაწონა და  
ამ მოწონებამ, ამ გატაცებამ ერთხანს დაჩრდილა, დააჩლოუნა  
ჩვენი გონება. ხოლო როდესაც გამოვფხიზლდი, ჩემმა შემოცო-  
დე გულის თქმამ მაშოსთან თავისუფალი, პატიოსნური ურ-  
თიერთობა მიჩინა.

— ნუ სტირი, გეთაყვა, ჯვარის-წერა ადამიანს არ გამო-  
სცვლის... შენ შენი თავის ბატონი იყავ, მე — ჩემის თავისა  
და ჩვენი შემაერთებელი კი სიყვარული და ერთგულება იყოს.  
ასე უფრო დამოუკიდებელნი ვიქმნებით და თუ ვინიცობაა  
შემდეგში ვერ შევთანხმდით, ორივეს გზა ხსნილი გვექნება: იქნება  
ხასიათები ვერ შევეწყვეთ ერთმანერთს, იქნება კიდეც მოგვეწო-  
ნოს ვინმე და მაშინ სადღა მოგნახოთ ისეთი მოწმები, რო-  
მელთაც უეჭველათ მრუშობის სარეცელზე უნდა გენახონ  
მეთქი \*) — ხუმრობის კილოთი დავაბოლოვე ჩემი გრძელი სი-  
ტყვა და თან სასაცილოთ ვიღმიქებოდი, მინდოდა მაშო გა-  
მეცინებინა.

„მაშო კი ისევ სტიროდა. ოხ, ეს ქალის ცრემლები!!  
რაც უნდა არ მოგწონდეს ქალი, თუ მთლათ გამხეცებული  
არა ხარ, მისი ცრემლები მაინც გალობენ და შენდა უნებუ-  
რათ სააღერსო სიტყვებს გამოგტყუებენ. მაშო კი ჯერ ისევ  
მომწონდა, მიყვარდა როგორც დაუმტკნარი იის თაიგული.  
მისი მხსნელი მისივე თვალ წარმტაცი გარეგნობა იყო!

— ჰო, კარგი. ნუ სტირი!.. როცა იქნება ჯვარსაც და-  
ვიწერთ, შეიღებს ხომ უკანონოთ, ბოგანოთ არ დავტოვებთ-  
მეთქი! დავემორჩილე მაშოს.

— თვლიმც გამოხეთქიათ შენს შეიღებს... მე შეიღები  
არ მეყოლება, არა!.. ზომები მაქვს მიღებული. მე შეიღები  
კი არა... მე მინდა კანონიერათ ვიცხოვრო შენთან... მინდა  
კვლავ საზოგადოებაში გავერიო... ახლა კი სადღა გამოვჩნდე-  
ბი შენი ხასია!.. სლოკინებდა მაშო.

„ამ უკანასკნელმა მისმა საიდუმლომ იავზარი დამცა!  
დედა-კაცს ძალათ დაუკარგავს თავისი თვისება, მაშ რაღა და-  
უტრევა ქმარს, საზოგადოებას, მომავალს? მოტყუება, ორგუ-  
ლობა, ფლიდობა?.. ფუი!! გავაფურთხე ბრაზმორეულმა და  
ოთახში აღელვებით ბოლთის ცემა დავიწყე.

„სხვა უჩემო, მაგარი ხასიათისა და მტკიცე აზრების კა-  
ცი, ერთ წუთსაც აღარ მოიცილდა მაშოსთან და ცხრა მთას  
იქით გადაიკარგებოდა, მაგრამ ჩვენში ბევრზე ბევრია უნიადა-  
გო, ისე — ალალ-ბედზე, — მცხოვრებელი და ერთი იმათგანი,  
ჩემდა საუბედუროთ, მეც ვიყავ!..

„დაღამდა. ქალაქის სამთლებმა მორცხვათ შესცინეს  
ცაში მოციმციმე ვარსკვლავებს. მაშომაც გოგოს აანთებინა  
სალამური ლამპარი და იდაყვებით მაგიდაზე დაეყრნო, ალ-  
მაცურათ დაანდო თავი ხელებზე და ჩემკენ სახე შემობრუნე-  
ბული, თვალეზათ გარდაიქცა. შავი ხუჭუქა თმები შუბლზე  
საყვარლათ გადმოეჯარა და ფართო მკერდი, რომელიც სი-  
ხისა გამო ნახევრათ მოეტიტვლებინა, ზღვასავით უღელავდა.

სკამზე უკმეხათ მჯდომარე მაშო სწორეთ განხორციე-  
ლებული ენებათა-ღელვა გვეგონებოდა!

„დალახვროს ღმერთმა მაცდური! თითოეული მისი შე-  
ხედვა თან და თან მამშვიდებდა, მისდამი გულის-წყრომას მი-  
ქარვებდა და, დაბოლოს, მისმა სიმშენიერემ თავი კიდეც

\*) ჩვენი კანონებით მარტო ორ უმთავრეს მიზეზს შეუძლია გა-  
ნაქორწინოს ცალ-ქმარი 1) ცვენობას და 2) მოწმებით დასტკიცებულ  
მრუშობას.

წამართვა. ფეხ აკრფით მივედი და გამოველაპარაკე.

— იქით დამეკარგეო! გამიჯავრდა მაშო და ისე არც  
თუ ძრიელის წყრომით და არც თუ აღერსის გამოსანატრათ,  
გულში ხელი მკრა. ხელის ამ გვარის კვრითა და ბოლონით  
არა ერთხელ და ორჯელ დაუტყუენია ჩემთვის აღერსის ფი-  
ცი, მაგრამ ამ ჟამათ თავი შევიკავე, ხელ ახლათ გაღვიძე-  
ლი მხეცი უმალ ჩავკალ ჩემ გულში და ისევ ბოლთის ცემა  
დავიწყე.

მაშო ალბათ არ მოელოდა ჩემს ამგვარ საქციელს და  
ცოტა არ იყოს განცვიფრდა.

საზიზღარი მამა-კაცებო! ბუტბუტებდა ჩემს გასაგონათ  
მაშო და თან გულ-მკერდს იღელავდა.

მე პირს ვარიდებდი, მაგრამ...

— როდემდისო? თითქოს მეკითხებოდენ მაცდურის თვა-  
ლები!..

V

„ჩვენ ურთიერთობას ნაძალადევობა დაეტყო. მართა-  
ლია მაშო სახლიდან არ მითხოვდა და არც მე ვშორდებო-  
დი, მაგრამ სამსახურსა, ჩემ ამხანაგებთან ლხინსა და ქვიფს  
უფრო ბევრ დროს ვანდომებდი ხოლმე და მაშოსთან მარტო  
სალამობით დავიარებოდი.

„მაშოც აპყვა თავისს ტოლ ქალებს და მათის დახმარე-  
ბით კანონიერ საქმროს ძებნას შეუდგა. მაშოს უეჭველათ ცო-  
ლის სახელი უნდოდა და რაკი მე ჯერ-ჯერობით ვერ დამი-  
თანხმა, თვალი განზე დაიჭირა.

„მართალი გითხრა, მაშოს ასეთი ქცევა საშინლათ მამ-  
რახებდა და ერთ გარემობას სამუდამოთ რომ არ გამოვეფხი-  
ზლებინე, იქნება დაბოლოს მაშოს დავეძლიე და „ცოლის  
ქმარი“ გავმხდარეყავ.\*)

შარშან, დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს, წამოვიკუხე  
პალტოს საყელო და აჩქარებით მაშოსკენ გავწიე. მაშო შინ  
არ დამიხვდა, გოგომ ზალაში მიმილო და მითხრა: „ქალბა-  
ტონი მალე მოვაო“. მე ლოდინი დავუწყე.

უაზროთ დავხეტიალებდი ზალის ერთის კუთხიდან მეო-  
რემდის, თუმცა კი გული მეთანაღრებოდა, რომ მაშო ამ  
დრომდის კარში იყო. ჩემ გულის კენესას გარედან ქარი ქვი-  
თინით ბანს აძლევდა და ეს უფრო მაწუხებდა: ოთახში ყია-  
ლით გამოლენჩებული გავჩერდი წიგნებით დატვირთულ სა-  
წიგნესთან და დიდის მზრუნველობით დალაგებულ წიგნებს  
თვალიერება დავუწყე.

— საწყალი ანდრო, წიგნები კი ჰყვარებია-მეთქი — წავი-  
დულუნე და ერთი მათგანი ხელში ავიღე...

„მეშვიდე თუ მერვე თვე იყო, რაც მე მაშოსთან ვცხო-  
ვობდი და დღეს პირველათ ვახსენე ანდრო. დღესვე გამახ-  
სენდა მაშოსთან პირველი შეხვედრა, სასაფლაოვო, ფიჩხადის სა-  
მარე და მწარეთ გამეცინა. „რა არის ადამიანი? რა არის მი-  
სი წვრილმანობითა და გაიძვერაობით საესე ცხოვრება-მეთ-  
ქი?“ — გავიფიქრე და ცივმა ოფლმა დამასხა.

„პირველათ მაშომ ამ წიგნების გადასარჩევათ მომიწვია  
და ჩვენ კი წიგნებიცა და მისი პატრონიც დავიწყებას მივე-  
ციით! ჯერ დავმეგობრდით და მერე ანგარიშობანა დავიწყეთ,  
ჯერ თავისუფლათ გვიყვარდა ერთმანერთი და მერე ერთ  
ურთს დამონება მოვუნდომეთ! რათ მოხდა ყველა ეს? ნუ  
თუ არ შეიძლება დავუბრუნდეთ პირვანდელ თავ-დავიწყებას,  
ნუ თუ არ შეიძლება სამუდამოთ გვიყვარდეს ერთმანეთი-მე-  
თქი? დავეკითხე ჩემ თავს და ამ კითხვათა პასუხის მიცემამ  
გამაბრუვა, თავს რეტი დამასხა... იმ ჟამათ მაშო რომ გვერ-  
დითა მყოლოდა, შეიძლება ფეხებში ჩავვარდნოდი, შენდობა

ცოლის ქმარს — ცოლისგან დაბრწყებულს ან სუბუქი ყოფა-  
ქცვის ქალის ქმარს უძახიან. ი. ე.



და მოტევა მეთხოვნა, შეიძლება გამეტაცნა იგი და მასთან ერთად ვაქცეულვიყავ შორს, შორს, გარდახვეწილვიყავ ისეთ მხარეში, სადაც სულ სხვაგვარათ ფიქრობს და იღვწის საზოგადოება, სადაც პიროვნება, მისი სხვასთან უთიერთობა და გულისთქმანი უფრო თავისუფალი, უფრო ფაქიზია, მაგრამ მაშო იქ არ იყო!..

— ვინ იცის ახლა ვისთან არის მეთქი?!— წამოვიძახე გულ მოკლულმა. საშინელმა ეჭვებმა შემიპყრეს!.. წარმოვიდგინე, რომ მაშო სხვას ეალერსება, სხვას ეფიცება სიყვარულს და სიამოვნებით თავს ბრუ დასხმული ეს სხვა ეხვევა და ჰკოცნის ჩემ მაშოს, ჩემ ყოფილ ნანდაურს, საყვარელს. გულზე ცეცხლი მომეკიდა და რომ ველარა გავაწყე რა გამაგებით წამოუსვი ხელი საწიგნეს და წიგნები სულ ძირს ჩამოვყარე..

ბრახა-ბრუხზე გოგო ზალაში შემოვიდა. გამოვფხიზლდი... გოგოს ვუბრძანე წიგნების ალაგებაში მომშველებოდა და გოგოსაგან რომ ჩემი მღვლეარება დამეფარა, შორს ვატყორცნილ წიგნებისაკენ გავწიე.

იმ წიგნიდან, რომელიც პირველათ ხელში ავიღე ერთი რვეული გამოვარდა. თავზე ეწერა „ფიჩხაშვილის თავ-გადასავალი“.

— ჰმ... ვნახოთ რა კაცი ბრძანდებოდა ეს ფიჩხაშვილიცა—მეთქი, წავიდულუნე და რვეული უბეში ჩავიდე.

წიგნები ისევ თავის ადგილას დავალაგეთ... კარგა ხანიც გავიდა. დაჰკრა 11, 12, 1 საათმა, მაგრამ მაშო არსადა სჩანდა... გაჯავრებულმა დავავლე ქულს ხელი და შინისკენ გავქანდი. გზა და გზა ვლანძღავდი მაშოს, ვლანძღავდი ჩემ თავს და ვწყევლიდი იმ წუთს, როდესაც მაშოს შეეხვდი! საშინელი აღრენილი ვიყავი!.. ცრემლი და ბოღმა მარჩობდა. ერთ ადგილას, გაკაშკაშებულ ბუფეტის მორთულობამ ისე მაცდურათ შემომცინა, რომ კინაღამ არ ჩავუხვიე და არ დავითვერ ხარივით, რომ გულის დარდი ღვინოში ჩამეკლა, მაგრამ ისეთი კაცონი მენტო გულში, რომ ღვინოც ველარ მიშველიდა!..

„მაშინ არ ვიცოდი რათ მომდიოდა გული ასე, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, ვგრძნობ რომ თურმე ჩემი თვით-მოყვარება, ჩემი შებღალული სჯადობა მამოქმედებდა. ცხოველებმაც ხომ ასე იციან ხოლმე!..“

შინ გამთბარი და განათლებული ოთახი დამხვდა. მაშინვე გავიხადე ტანთ, ჩავწექი ლოგინში და შავის ფიქრების თავიდან ასაცილებლათ, ფიჩხაშვილის რვეულის კითხვას შევეუდექი.

ბედნიერი იყოს ის წუთი!.. ცოტა არ იყოს გამომათხიზლა... ჩემი ცუდი და ავი გამითვალისწინა, შემადულა!..

ი ა ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)

ი. ს. ფანცხავას „თხზულებანი“ \*

I

ბ-ნ ი. ფანცხავას მოუწადინებია დაარღვიოს ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება, რომელსაც იგი შეცდომით ეკონომიურ მატერიალიზმს უწოდებს. მისი აზრით, მარქსის ფილოსოფიურ მოძღვრებას ეკონომიური მატერიალიზმი უნდა ვუწოდოთ, „ისტორიული მატერიალიზმი ამ მოძღვრებას ვერ დაერქმევა, რადგან ისტორიული მატერიალიზმი უფრო ვრცელია“ („თხზულ.“ გვ. 71). ბ-ნი ფანცხავა, რასაკვირველია, არ განმარტავს, თუ რას წარმოადგენს ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება, ან თუ ვინ დააფუძნა ეს უკანასკნელი. ის გარემოება, რომ ნ. ჟორდანიას თავის პირველ ნა-

\*) იხ. „ეკალი“, № 2.

წერში დიალექტიური ანუ ისტორიული მატერიალიზმის განვირათ ხმარობდა ტერმინს: ეკონომიური მატერიალიზმი ამის საბუთათ ვერ გამოდგება. ეკონომიური მატერიალიზმი მარქსის და ენგელსის მატერიალისტული შეხედულებების რიგზე სრულებით ერთი და იგივე არ არის, რასაც ჩვენ შემდეგ დავამტკიცებთ, და თუ მაინცა და მაინც ჩვენი ავტორი ზევით დასახელებულ მეცნიერთა მოძღვრებას ეკონომიური მატერიალიზმის სახელწოდებით ნათლავს, ეს მხოლოდ იმას ღალადებს, რომ ბ-ნ ფანცხავას სრულიად შემცდარი წარმოდგენა აქვს ამ საგანზე.

როგორც ვთქვით ბ-ნი ფანცხავა კრიტიკას უშვრება მარქსის და ენგელსის მოძღვრებას. ეს თავის თავათ კარგი და მოსაწონი საქმეა. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, კრიტიკა ორნაირი შეიძლება იყოს. კრიტიკა ქვია იმას, როცა საგნის საფუძვლიანი ცოდნის წინ წამძღვრებით თქვენ ცდილობთ აღნიშნოთ მისი ღირსება-ნაკლებეანებანი, პოულობთ და ამჩნევთ ახლო მხარეებს, რომლებიც სხვებს შეუმჩნეველი დარჩათ ან და სავსებით ვერ განუმარტავთ, და ამნაირათ შევლით ქეშმარიტების განხორციელებას და ამავე დროს ემსახურებით საზოგადოების წინმსვლელობის საქმეს. მეორე მხრით არის ისეთი კრიტიკაც, რომელიც სრულებით არ არის დამყარებული საგნის საფუძვლიან შესწავლაზე და რომელიც მხოლოდ სხვის შეცდომებს და აუწონ-დაუწონელ აზრებს იმეორებს; ახალი მხარეების აღმოჩენაზე აქ ხომ ლაპარაკი სრულებით არ შეიძლება. რამდენათ ნაყოფიერი და სასარგებლოა პირველი გვარის კრიტიკა, იმდენათ მეორე გვარის კრიტიკა უნაყოფოა და ძლიერ ხშირათ მავნებელიც. რომელ გვარ კრიტიკას წარმოადგენს ბ-ნ ფანცხავას „კრიტიკა“ დიალექტიური მატერიალიზმის მოძღვრებისა?

„მარქსიზმის კრიტიკას და, შეიძლება, მის შემეშავებას—სამართლიანათ შენიშნავს ვოლტმანი—შეუძლია ხელი მოკიდოს მხოლოდ იმან, ვინც კარგათ იცის წარმოშობა და ისტორია მარქსის თეორიის განვითარებისა, ვინც გაცნობილია ამ განვითარების გამომწვევე მიზეზთანაო.“ \*) მარქსის ისტორიული მოძღვრება აუცილებელი დასკვნაა მთელი წარსული ცხოვრებისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შეხედულება ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე, რომელიც დააფუძნეს მარქსმა და ენგელსმა, მჭიდრათ შეკავშირებულია ერთი მხრით გერმანელების კლასიკურ ფილოსოფიასთან და მეორე მხრით იმ ახალი მატერიალურ, ნივთიერ, პირობებთან, რომლებიც წარმოშვეს და განავითარეს თანამედროვე კაპიტალისტური მრეწველობის დამკვიდრებამ საზოგადოებრივ წარმოებაში. ამიტომ ვინც მარქსიზმის კრიტიკას მოინდომებს, ის თავდაპირველათ ვალდებულია გაეცნოს როგორც გერმანელების კლასიკურ ფილოსოფიას \*\*), ისე იმ დროის საზოგადოებრივ ურთიერთობათ, როცა ისტორიული მატერიალიზმის დამფუძნებლებმა პირველათ გამოთქვეს ეს თეორია. მარქსის და ენ-

\*) Вольтманъ. Историческiй материализмъ. რუსული თარგმანი ფილიპპოვის რედაქციით, გვ. 253. ბ-ნ ფანცხავას საყურადღებოთ შენიშნავთ, რომ თუმცა ვოლტმანიც უშვრება კრიტიკას მარქსის და ენგელსის ისტორიულ მატერიალიზმს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვოლტმანი დახლოვებით იცნობს მარქსიზმის ერთ წყაროს, ე. ი. გერმანელების იდეალისტურ ფილოსოფიას, და თვით მარქსის და ენგელსის მოძღვრება მას საფუძვლიანათ აქვს გაცნობილი. ბ-ნი ფანცხავა კი სრულებით მოკლებულია, როგორც ერთს, ისე მეორეს.

\*\*) „მარქსის მოძღვრების ისტორია—ამბობს ვოლტმანი—გვეუბნება, რომ ეს თეორია თავიდან ბოლომდე შეკავშირებულია გერმანელების კლასიკურ ფილოსოფიასთან კანტიდან დაწყებული ვიდრე ფეიერბახამდე და იგი წარმოადგენს ამ სისტემის უფრო განვითარებულ საფეხურს.“ გვ. II, წინასიტ.



გელსის მატერიალისტურ მოძღვრებას დღეს უკვე 50 წლის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მას თავს გადახდა საშინელი ბრძოლა; არ დაკლებია არც უსასტიკესი დევნა ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, — უტყუარი ნიშანია ყველა დიდებული და ნაყოფიერი მოძღვრებისა — და არც უარყოფა. მაგრამ ყველა ამ დაბრკოლებას მან სძლია და საფუძვლათ დაუდგა თანამედროვე უძლიერეს საზოგადოებრივ მოძრაობას — პროლეტარიატის ბრძოლას. მარქსის ფილოსოფიურმა მოძღვრებამ უკვე ისახელა თავი სოციალურ მეცნიერებაში; კაცობრიობის წარსულმა ისტორიამ ამ მოძღვრებაში იპოვა თავის ხსნა-განმარტება. დღეს ვერც ერთი მიმართულება ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებაში მარქსიზმს გვერდს ვერ აუვლის; ყველა იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს. ამან გამოიწვია დიდძალი ლიტერატურა, რომლის უყურადღებოთ დატოვება, როცა ამ მოძღვრების კრიტიკა გწადიათ, ყოველად შეუძლებელია.

ბ-ნი ი. ფანცხავა კი, მისი აზრით, ქვას ქვაზედაც არ ტოვებს ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრებაში, და იმავე დროს კი სრულებით არ ცდილობს თვით ამ მოძღვრების შესწავლას. ბ-ნი ფანცხავამ მოინდომა კრიტიკა და უარყოფა ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრებისა, მაგრამ თვით მოძღვრების გაცნობა კი საჭიროთ არ დაუნახავს. მას წაუკითხავს მიხაილოვსკის წერილები ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ და უფიქრია, რომ იმ მოძღვრების ზედი, რომლის შექმნას და განმტკიცებას თავისი ძალ-ღონე შეაღიეს მეცხრამეტე საუკუნის შესანიშნავმა მეცნიერებმა და მოღვაწეებმა, მიხაილოვსკის სტატიებში საბოლოოთ გადაწყვეტილიაო, რასაკვირველია, არა თვით თეორიის სასარგებლოთ. ამნაირათ ბ-ნი მიხაილოვსკი შეიქნა ბ-ნი ფანცხავასთვის მეცნიერების უკანასკნელ სიტყვათ. ამიტომ ბ-ნი ფანცხავასთვის სამუდამოთ გაუგებარი დარჩა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მარქსის ისტორიული შეხედულობის შემუშავებისთვის გერმანელების ფილოსოფიას ერთი მხრით და მის თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობას — მეორე მხრით. ბ-ნი ფანცხავასთვის სრულებით უცნობი და გაუგებარი დარჩა ისტორიული მატერიალიზმის წარმოება და მისი განვითარება, ხოლო თვით ამ თეორიის ღირსება-ნაკლულეგანებათა დაფასებაში იგი სავსებით დაენდო მიხაილოვსკის წერილებს, და არა თუ ახალი მხარეები ვერ გვიჩვენა, არამედ მიხაილოვსკის წყალ-წყალა წერილების მონელებაც ვერ შეძლო. აქედან თქვენ ხედავთ, თუ რაგვარ კრიტიკას წარმოადგენს ბ-ნი ფანცხავას „კრიტიკა“.

ბ-ნი ფანცხავა თავის „კრიტიკაში“ გადაუხვევლათ მისდევს კვალში ბ-ნი მიხაილოვსკის. მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი სრულ უფიცობას იჩენს მარქსის და ენგელსის მოძღვრების დაფასებაში, ამიტომ თქვენ ადვილათ წარმოიდგნათ, თუ როგორი-ღა უნდა იყოს მისი ცოდნა იმავე სფეროში. ბ-ნი მიხაილოვსკის მსგავსათ, ბ-ნი ფანცხავაც ეხება ჰეგელის ფილოსოფიას. მაგრამ ბ-ნი მიხაილოვსკის არასოდეს არ ჰქონებია ამ უკანასკნელზე მართალი წარმოდგენა, რადგანაც ჰეგელს მიხაილოვსკი მხოლოთ სახელმძღვანელოების საშუალებით იცნობდა, რაც აშკარათ დაამტკიცა ბელტოვმა თავის წიგნში „მონისტური შეხედულების განვითარება ისტორიაზე“. ბ-ნი მიხაილოვსკის აზრით ჰეგელის ფილოსოფიას არაგერი საერთო არა აქვს თანამედროვე ევოლიუციონურ მოძღვრებასთან და ეშმაკურათ დასცინის მას. ბ-ნი ფანცხავა არა თუ არ ჩამორჩა მას ამ საქმეში, არამედ კიდევაც გადააჭარბა. ვინც ცოტათი მაინც იცნობს გელმანელების ახალი დროის ფილოსოფიას, სპინოზიდან დაწყებული ვიდრე ჰეგელამდე, იმან კარგათ იცის, თურა სამსახური გაუწია ამ ფილოსოფიამ თა-

ნამედროვე მეცნიერებას; ვინც ეს იცის, იმას ისიც ეცოდნება, რომ ჰეგელს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ამ მხრით. ბ-ნი ფანცხავას აზრით კი, ჰეგელის ფილოსოფიური ტაფიზიკური ბოღვაა“, „ჰეგელი სრული ტაფიზიკია“ (გვ. 119). თუმც ბ-ნი ფანცხავას იმავე დროს არ შეუძლია სრულებით გვერდი აუაროს იმ საყოველთაო ცნობილ ფაქტს, რომ ჰეგელმა საბოლოოთ დააფუძნა აზროვნების დიალექტიური მეთოდი, რომელიც ყოველ მოვლენაში ამჩნევს ცვალებადობას; მაგრამ იგი იქვე აქარწყლებს თავის ნათქვამს მით, რომ მისი სიტყვით, „ჰეგელი პირველი როდი იყო, რომელმაც მოვლენათ განვითარების თვალთ შეხედაო“. გარდა ამისა, ესეც რომ ასე იყოს, ბ-ნი ფანცხავას აზრით, „ჰეგელს ევოლიუციონური მოძღვრებისათვის არაფერი არ გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ მეტაფიზიკური სიტყვა-კაზმულობით ფარავდა აზრის საკლუჯკანებს“ (გვ. 106 და 108). ამაზე ბ-ნი ფანცხავას აი რა უნდა მოვახსენოთ: არაფერ არ ამტკიცებს, რომ „ჰეგელი პირველი იყო, რომელმაც მოვლენათ განვითარების თვალთ შეხედაო“. ჰეგელის პირველობა ამ მხრით მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ მან, როგორც ამბობს ენგელსი, — მკაფიოთ და გარკვევით გამოთქვა დიალექტიკის კანონები \*). იგივე ენგელსი ასახელებს, თუ ვინ იყვენ დიალექტიკის წარმომადგენელი როგორც ძველ დროში, ისე ახალ ფილოსოფიაში. ამნაირათ ბ-ნი ფანცხავას ეს ზევით მოყვანილი აზრი მხოლოთ იმით აიხსნება, რომ ავტორი სრულებით გაცნობილი არ არის იმ საგანთან, რომელზედაც ლაპარაკობს. რაც შეეხება ბ-ნი ფანცხავას მეორე აზრს, რომელსაც იგი მიხაილოვსკისთან ერთად იმეორებს, რომ ვიუომც „ჰეგელს ევოლიუციონურ მოძღვრებისათვის არაფერი არ გაეკეთებია“, ამის საფუძვლიანობას ჩვენ შემდეგ შევიტყობთ. მანამ კი სხვა გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღებას.

ერთობ საკვირველი თვისებისაა ბ-ნი ფანცხავა. ყოველი გონიერი კაცი, როცა თავის აზრის ან შეხედულების დამტკიცება სურს, იმას ეცდება, რომ მცოდნე კაცს შეეკითხოს და თუ მაინცა და მაინც სხვისი აზრის მიღება სურს, ისევე ამ მცოდნე კაცს დაუჯეროს და მისი აზრი მიიღოს. ჩვენი ავტორი კი სულ სხვანაირათ იქცევა. ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ ჰეგელის ფილოსოფიის მას არა გაეგება რა. ახლა ვნახოთ, თუ ვისი აზრი მოყავს მას ჰეგელის შესახებ და ან ვის უჯერის. „ჰეგელზე სიტყვა დავუთმოთ — გვეუბნება ბ-ნი ფანცხავა — არის საკმაოთ ცნობილი პირი, რომელთან უფრო მეტი უნდა დავუჯეროთ ამ საქმეში, ვიდრე ბ. ბელტოვს დი ბ. უორდანას“ (გვ. 119). ხაზს ჩვენ ვუკობთ მ. მ.) კარგი და პატრიოსანი: ჩვენ ყოველთვის მზათ ვარ მოვისმინოთ საგანზე მცოდნე კაცის აზრი. მაგრამ ვინ არის ეს მცოდნე პირები ამ შემთხვევაში? ესენი ყოფილან რიბო და ჯ. სტ. მილლი. პირველი ამათგანი, ე. ი. რიბო, ჰეგელის შესახებ სწერს, რომ მისი „თეორია სრულებით მეტაფიზიკური, წმინდა სუბიექტიური მსოფლმხედველობაა, რომლის გაგება გაძნელებულია ტეზისისა, ანტიტეზისისა და სინტეზის სწავლით და რომელიც ფაქტებს კადნიერათ თვის აპრიორულ წარმოდგენას უმორჩილებს“ (გვ. 120). აქედან გამოდის, რომ რიბოს თითონ ვერ გაუგია ჰეგელის ფილოსოფია, რომ ჰეგელის დიალექტიური მეთოდი მისთვის შეუმჩნეველი დარჩენილა, და მეტი არაფერი. უნდა ვიგულისხმოთ კი, რომ რიბოც ისეთი „მცოდნე“ უნდა იყოს ჰეგელის ფილოსოფიისა, როგორც სხვა დანარჩენები, რომლებსაც ბ-ნი ფანცხავა იმეორებს. მაგრამ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თუ ბ-ნი ფანცხავა, მიხაილოვსკი და რიბო არ იცნობდენ ჰეგელის ფილოსოფიას, ინ-

\*) მოყვანილია ვოლტმანის „ისტორ. მატერ.“, გვ. 171.



გლისის გამოჩენილ მეცნიერს, მილლის, უეჭველათ ზედმიწევნით თუ არა საკმარისათ მაინც ექნებოდა შესწავლილი ეს საგანო. თუ როგორი მცოდნე იყო მილლი ჰეგელის ფილოსოფიის, ეს აშკარათ ჩანს იმ საუბრიდან, რომელიც მოხდა ხსენებულ მეცნიერსა და დანიის გამოჩენილ მწერალ ბრანდესს შორის და რომელიც საბედნიეროთ ბ-ნ ფანცხავას მოყავს თავის „თხზულებათა“ 120 და 121 გვერდებზე; თუ ჩვენი მკითხველი თავის თავს ძალას დაატანს და ბ-ნ ფანცხავას „თხზულებათა“ ზევით დასახელებულ გვერდებს გადაიკითხავს, მაშინ იგი გაიგებს, რომ მილლს, როგორც თითონ გამოტყდა „ჰეგელი სრულებით არ ქონდა წაკითხული არც დედანში (რადგანაც გერმანული ენა არ იცოდა) და არც თარგმანში; ჰეგელს იგი მხოლოდ რეფერატებით და მის საწინააღმდეგო საპოლემიკო სტატიებით იცნობდა“... (ეს თვით მილლის სიტყვებია. მ. მ.). და აი ესვე მილლი მართლაც ამბობს ჰეგელის ფილოსოფიაზე, რომ „იქ, ე. ი. ჰეგელის ფილოსოფიაში, ფოკალიფერი შეტაფიზიკურია, — რაც კი ჰეგელს დაუწერია სრულსა და წმინდა უაზრობას წარმოადგენს!“ ასეთი დასკვნა ძეტათ გაკვირვებია ბრანდესს, გაკვირვებია მით უმეტეს, რომ თვით მილლმა თავისივე პირით აღიარა, რომ იგი ჰეგელის ფილოსოფიას არ იცნობსო. და ეს გაუკვირდება არა მარტო ბრანდესს, არამედ ყველა ჭკუა დამჯდარ და გონიერ კაცს. არ გაკვირვებია ეს მხოლოდ ბ-ნ ფანცხავას და იგი ამის გამო აღტაცებამიაც მოდის. „გამოეტეხილვართ, — დასკვნის იგი თავის მხრით, რომ ჩვენთვის უფრო სარწმუნოა და მასასაღამე მისაღებიც რიბოსა და მილლის აზრი ჰეგელზე. მკითხველმა კი იმას დაუჯეროს, ვინც სურს: გინდ ოსს სანატია და ნამდვილ მცოდნეთ და გინდ... (გვ. 121). აქედან თქვენ ხედავთ, თუ ვის უწოდებს ბ. ფანცხავა „ნამდვილ მცოდნეთ“! რაც შეეხება „სანატია“, აქ ამას აღვლილი არა აქვს. რაც უნდა პატივს ვცემდეთ მილლს, ჰეგელის ფილოსოფიის დაფასებაში მას ავტორიტეტით ვერ მივიღებთ, ვერ მივიღებთ იმიტომ, რომ როგორც თვით მილლი ამბობს, იგი არ არის ჰეგელის ფილოსოფიის მცოდნე, რომ ჰეგელის ფილოსოფიის ნამდვილი მცოდნენი არ მოიპოვებოდნენ, შეიძლება რიბოს და მილლის სიტყვებს მაშინ ჰქონოდათ რაიმე ფასი. მაგრამ საბედნიეროთ ეს ასე როდია. და ეს გარემოება თვით ბ-ნ ფანცხავამაც უნდა იცოდეს რადგანაც მას წაკითხული უნდა ჰქონდეს ბელტოვის ზევით დასახელებული წიგნი, რომელმაც მას ბევრი სისხლი გაუშრო და რომელშიაც მოყვანილია რამდენიმე პირის აზრი ჰეგელის ფილოსოფიაზე მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს პირები საფუძვლიანათ და ზედმიწევნით იცნობენ ჰეგელის ფილოსოფიას და სრულებით არ გვანან მილლს, რომელიც იცნობდა ამ ფილოსოფიას „მხოლოდ რეფერატებით და მის საწინააღმდეგო საპოლემიკო სტატიებით“. ძალა უნებურათ იბადება კითხვა: რათ არ დაუჯერა ბ-ნმა ფანცხავამ ამ მართლა მცოდნე პირთ? აღბათ იმიტომ, რომ იგი მიხაილოვსკის მიმყოლია, და როგორც ასეთს, მას ჰეგელი უთუოთ უნდა ეძაგებინა \*). — ვინ არიან ეს პირნი?

ერთი იმათგანი არის ფერდ. ლასალი, რომელიც თვითონ ჰეგელიანელი იყო (თუმც მემარცხნე), და როგორც ასე-

\*) არც ჩვენ მწერლობაშია ბ-ნი ფანცხავა კენტათ: ამ რამდენიმე წლის წინეთ ჰეგელის წინააღმდეგ გამოქვეყნდა კაზ. „ფერდიაში“ ბ-მა მარგელმა, რომელმაც ამაგა რა ჰეგელის ფილოსოფია, თვით ჰეგელს რეპეტინური უწოდა. ბ-ნ მარგელს მასუსხი კასტა „კვალში“ Idem-მა, რომელმაც უტყუარი ფაქტებით დაამტკიცა, რომ ბ-ნ მარგელს სრულებით შეუმდარი წარმოდგენა აქვს ჰეგელის ფილოსოფიაზე, და მას იგი სრულებით არ იცნობსო. იხ. „კვალი“ 1901 წ., №№ 26, 27, და 28.

თი ჰეგელის ფილოსოფიის ღრმა მცოდნე, ლასალის სიტყვით, ჰეგელი თავის თხზულებათა ყველა გვერდზე ამბობდა რომ ჰეგელი ვალდებულია დაწვრილებით და დაუფიქრებლათ ნათ გაეცნოს იმ საგანს, რომელსაც იგი იკვლევს... (იხ. ჰეგელი ტიურ მასალას უაზროთ მხოლოდ მცირე მნიშვნელობა აქვს; აზრი კი უფაქტიურ მასალოთ უბრალო ხიმერაა! \*\*) ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ცნობილი გერცენის შესახებ, რომელიც აგრეთვე დაახლოვებით იცნობდა ჰეგელის ფილოსოფიას და რომლის სიტყვით, „ჰეგელის ფილოსოფია წინმსვლელობის (პროგრესის) აღგებრააო“ (იხ. „კვალი“, 1901 წ. № 26). მოვიყვანოთ აქ ნ. ჩერნიშევსკის აზრი.

„ჩვენ — ამბობდა ეს შესანიშნავი მწერალი — ისე ნაკლებათ ვართ ჰეგელის მიმდევარი, რამდენათაც დეკარტის ანუ არისტოტელის. ჰეგელი ახლა უკვე ისტორიას ეკუთვნის, ჩვენ დროს თავისი ფილოსოფია აქვს, და კიდევაც ვხედავთ ჰეგელის სისტემის ნაკოლევანებათ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ის პრინციპები, ანუ საფუძვლენი, რომლებიც წამოაყენა ჰეგელმა, მართლაც ძლიერ ახლო იყვენ ჰეგელიანობასთან, და რამდენიმე მხარე ჰეგელიანობისა გასაოცარი ძლიერებით დაგვიყენა თვალწინ ამ მეცნიერმა. ამ ჰეგელიანობათაგან, ზოგაერთების აღმოჩენა შეადგენს ჰეგელის ზარად დგაწეს; დანარჩენნი თუმც განსაკუთრებით მის სისტემას არ ეკუთვნიან, არამედ გერმანელების მთელ ფილოსოფიას კონტის და ფიხტეს შემდეგ, მაგრამ ისინი ჰეგელისა და ისე ნათლათ და ისე ძლიერათ არ გამოუთქვამს, როგორც ეს მის სისტემაშია... თავდაპირველათ ვუჩვენებთ იმ უნაყოფიერეს პრინციპს ყოველგვარი პროგრესისას, რომლითაც ასე ნიშნობლივ და ასე შესანიშნავათ განსხვავდება გერმანელების ფილოსოფია საზოგადოთ და ჰეგელის სისტემა განსაკუთრებით იმ მშინარა და ფარისეველ შეხედულებათაგან, რომოებსაც აღგენ იმ დროს (მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი) ფრანგები და ინგლისელები: ჰეგელიანობა — აზროვნების უზენაესი მიზანია. ეძიებდეთ ჰეგელიანობას, ვინაიდან ჰეგელიანობაშია სიკეთე; როგორც უნდა იყოს ჰეგელიანობა, ის მაინც ყველაფერს ჯობს, რაც ჰეგელიანობა არ არის. მეცნიერის უპირველესი მოვალეობაა: არავითარ შედეგს არ შეუშინდეს, უკან არ დაიხიოს; იგი მზათ უნდა იყოს ანაცვალოს ჰეგელიანობას ის აზრებიც-კი, რომლებიც მას ყველაზე უკეთ მიიჩნია... როგორც აუცილებელი დამცველი საშუალება, რომ აღამიანი არ გაიტაცოს პირადმა გულისთქმამ და ამოჩემებულმა, წინასწარ შედგენილმა, აზრებმა და ჰეგელიანობას არ დააცილოს, ჰეგელმა წამოაყენა „აზროვნების დიალექტიური მეთოდი“. ეს მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერი არ უნდა გაჩერდეს ერთ რომელსამე დასკვნაზე, არამედ უნდა ეძიებდეს, არის თუ არა საგანში, რომელზედაც იგი მსჯელობს ისეთი თვისებები და ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმას, რაიცა წარმოგვიდგება ამ საგანში პირველი შეხედულებით. ამნაირათ მეცნიერი იძულებული შეიქმნა განეხილა საგანი ყოველი მხრით, და ჰეგელიანობა გამოდიოდა, როგორც შედეგი ყოველნაირ საწინააღმდეგო შეხედულებათა ბრძოლისა... სინამდვილის ახსნა გარდაიქცა ფილოსოფიური აზროვნების არსებით მოვალეობათ. ამან გამოიწვია მეტი ყურადღება სინამდვილისადმი, რაზედაც წინეთ არც ფიქრობდენ და რასაც წინეთ განზრახ ამახინჯებდენ წინასწარ ამოჩემებულ რწმენათა სასარგებლოთ... ჰეგელი ასწავლიდა, — განაგრძობს იგივე ჩერნიშევსკი — რომ წინანდელი ზოგადი ფრანგები, რომლების საშუალებით მსჯელობდენ ბოროტზე და კეთილზე, იმ გარემოებათა და მიზეზთა განუხილველათ, რომლებმაც გამოიწვიეს ეს თუ ის მოვლენა, რომ ეს

\*\*) ბელტოვი. მონისტ. შუბ. ისტორიაზე, გვ. 79.



ზოგადი განყენებული მსჯელობანი სრულებით გამოუდგარია: თითოეულს საგანს, თითოეულ მოვლენას აქვს თავისი საკუთარი მნიშვნელობა, და იმაზე მსჯელობა, უნდა ვიქონიოთ იმ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, რომლებშიაც იგი არსებობს ანუ ხდება. ეს კანონი ასე გამოითქმება: „განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება კანკრეტიულია“, ე. ი. განსაზღვრული მსჯელობა შეიძლება წარმოვსთქვათ მხოლოდ განსაზღვრულ ფაქტებზე, წინდაწინ განვიხილოთ-რა ყველა ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი დამოკიდებულია...\*)

ასე ესმოდა და ასე აფასებდა ჰეგელის ფილოსოფიას და მის მნიშვნელობას ის მოაზრე, რომელსაც საფუძვლიანათ ქონდა ეს ფილოსოფია შესწავლილი. ჩერნიშევსკი, როგორც თითონ ამბობდა, არ იყო ჰეგელის მიმდევარი, იგი თავის თავს თვლიდა მეორე ფილოსოფიის მიმდევრათ, სახელდობ ფეიერბახის, მაგრამ ფეიერბახი რომ პირდაპირ ჰეგელის გამგძნობი იყო, ანუ უფრო მართლა რომ ვთქვათ შემაერთებელი ხიდი ჰეგელსა და მარქს შორის, ამიტომ გასაკვირველი არის, რომ ჩერნიშევსკი ასე პატივისცემით იხსენიებდა ჰეგელის ფილოსოფიას, და განსაკუთრებით ჰეგელის დიალექტიურ მეთოდს, რაც ცხადათ ჩანს შემდეგი მისი სიტყვებიდან: „ფორმათა მუდმივი ცვალებადობა, ფორმის მუდმივი უარყოფა, რომელიც წარმოშობილია ამა თუ იმ შინაარსით ანუ მისწრაფებით, ამავე მისწრაფების გაძლიერების გამო, ამავე შინაარსის უმაღლესი განვითარების გამო. ოჰ! რა სიმშვიდით მოუწოდებს იმ გარემოებათ, რომლებსაც სხვები უფროთხიან, ის ვისაც კი შეუგნია ეს დიდებული, მუდმივი, საყოველთაო საკანი, ვისაც კი შეუთანხმებია იგი ყოველგვარ მოვლენასთან. იგი არ ნანობს არაფერზე, რასაც კი თავის დრო მოუქაზია და ამბობს: დეე, მოხდეს, რაც მოხდება! ხოლო ბედნიერი დღე კი ჩვენ ქუჩასაც დაუდგებაო“!. (იხ. „კვალი“, 1901 წ., № 27 ქ.). ეს სიტყვები აშკარათ მოწმობენ, რომ ჩერნიშევსკის შეთვისებული ჰქონდა ჰეგელის დიალექტიური მეთოდი: ფორმათა მუდმივი ცვალებადობა, ფორმის მუდმივი უარყოფა, გამოწვეული შინაარსის განვითარების გამო, — აი სინამდვილე, აი ნამდვილი დიალექტიკა. აშკარაა აგრეთვე, რომ ჩერნიშევსკის აქ სავსებით ეთანხმება ენგელსი, როცა ამბობს: „წინააღმდეგობანი ანუ გაუგებარი განსხვავებანი სულ უფრო და უფრო ჰქრებიან. გარდაქმნის პროცესისი არის უდიდესი ძირითადი პროცესისი, რომლის გაგებაში მდგომარეობს ბუნების მთელი შეგნება.“ ეს არის მოძრაობის დიალექტიური კანონები, რომლებიც მთელი თავისი დიადი მნიშვნელობით პირველათ ჰეგელმა გამოთქვაო.“\*) ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, თუ რა ნაყოფიერ გავლენას ახდენდა ჰეგელის ფილოსოფიის დრმა შესწავლა. მისმა დიდებულმა დიალექტიურმა მეთოდმა მრავალ მეცნიერთ გაუკვალა და უჩვენა გზა სინამდვილის გამოსაკვლევათ და გასაგებათ, მრავალ მოაზრეთ მისცა ხელში სწორი შეურყვეველი კრიტერიუმი. ჩვენში კი გამოდიან და გაიძახიან, რომ ჰეგელის ფილოსოფია მარტოდენ „მეტაფიზიკური ბოდვააო“, და ჰეგელს არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის თანამედროვე მეცნიერების წინაშე. მაშინ როცა ჰეგელის ფილოსოფია იყო ის წყარო, რომელიც ასაზრდოებდა და მოქმედებისაკენ იწვევდა შესანიშნავ მეცნიერთ და საზოგადოებრივ მოღვაწეთ. აი ესეთი მეორმოცე წლების გამოჩენილი მოღვაწენი: გერცენი, ბელინსკი, სტანკევიჩი და შემდეგ-ჩერნიშევსკი, — ყველა ესენი ან ჰეგელის ფილოსოფიის მიმდევარი იყვენ ან მის გავლენის ქვეშ იმყოფებო-

დენ. თვით ჰეგელის სამშობლოს შესახებ ჩვენ არაფერს ვამბობთ, — ეს მერე იყოს. — მაგრამ არა ბ-ნ ფანცხავას „გასანათლებლათ“, არამედ ჩვენი მკითხველის საყურადღებოდ ჩვენ შემდეგ წერილში ვეცდებით უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ჰეგელის ფილოსოფია, განსაკუთრებით-კი აზროვნების დიალექტიური მეთოდი, რომლის კანონების დადგინება ჰეგელმა შესძლო; ეს მით უფრო საჭიროა, რომ მარქსის და ენგელსის ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრება პირდაპირ დარყნდობილია ჰეგელის დიალექტიურ მეთოდზე. ჯერ-ჯერობით კი მკითხველს შეუძლია ასეთი დასკვნა გამოიყვანოს ნათქვამიდან: ყველა ისინი, ვინც ჰეგელის ფილოსოფიაზე მსჯელობენ, ორ ნაწილათ შეიძლება გაყვით. ერთ მხარეზე დგანან ისინი, ვისაც ჰეგელის ფილოსოფიის არა გაეგებათ რა, ვინაიდან სრულებით არ ცდილან რომ იგი შესწავლათ; ყველა ესენი ჰეგელის ფილოსოფიას აძაგებენ და იმაში გარდა უაზრობისა ვერაფერს ვერ ხედავენ. ასეთებია სხვათაშორის მიხაილოვსკი, ჩვენში ბბ. ფანცხავა და მარველი და სამწუხაროთ ინგლისელი მოაზრე მილოლი. მეორე მხარეზე დგანან — ისინი, ვისაც ჰეგელის ფილოსოფია შეუსწავლიათ და მისი ძირითადი აზრები შეუთვისებია, ესენი, პირიქით, ამ ფილოსოფიას დიდათ აფასებენ და იმას პატივისცემით იხსენიებენ. ასეთებია მარქსი და ინგელსი, რომლებიც ჰეგელის ფილოსოფიაზე აღიზარდენ; ასეთია ლასალი, რომელიც აგრეთვე ამ ფილოსოფიაზე აღიზარდა; ასეთებია რუსეთის შესანიშნავი მწერლები და მოღვაწენი: გერცენი, ჩერნიშევსკი და ბელტოვი.

ეს გარემოება მეტათ საგულისხმიეროა უფრო იმათთვის, ვისაც ბევრი ყვირილი უყვარს და ცოდნა კი ეჯავრება.

მ. მარიალაძე.

(შემდეგი იქნება)

კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს

(ისტორიული წერილი)

თარგმანი დ. კლიაჯასი

VI

აღსანიშნავი დაგვჩა კიდევ მესამე წოდების ერთი საყურადღებო ელემენტი. ეს არის ბურჟუაზიის ინტელიგენცია. კაპიტალისტური წარმოების ფორმამ ის ორი მომქმედი ძალა, რომელნიც სახელონო წარმოების ხანაში მჭიდროთ დაკავშირებული იყო, გაყო შრომის ორ კატეგორიათ, ორ ნაწილათ: ფიზიკურ და გონებრივ შრომათ. შრომის განაწილება ძველ საზოგადოებაშიც იყო ცნობილი, წარმოების ახალმა ფორმამ მხოლოდ უსაზღვროთ გააგანიერა (დაანაწილა კიდევ) და შექმნა მთელი დარგი ისეთი შრომისა, სადაც საჭირო იყო მხოლოდ ერთი გონებრივი შრომა.

მეცნიერებით აღჭურვილ ტენიკოსს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ცოტა საქმე ქონდა წარსულ საუკუნეში. სამეცნიერო მექანიკის და ქიმიის გამოყენება მრეწველობაში ძლიერ იქნა შემოღებული მხოლოდ წარსულ საუკუნის გასულს. მარა წარმოების ახალმა ფორმამ გზების გაყვანის და მიმოსვლის საშუალებათა სფერაში კი გაუჩინა ტენიკას დიდმნიშვნელოვანი საქმეები: ხომალდების აშენება, ხიდების აგება და გზების და არხების გაყვანა. არა ნაკლები მოთხოვნილება წამოაყენა სამხედრო საქმეშიც, როგორც მაგალითათ სიმარგების აგება, იარაღების ჩამოსხმა და სხვადასხვა. ქალაქებში მცხოვრებთა თანდათანმა შეჯგუფებამ და მათი უმეტესობის თანდათანმა გაპროლეტარებამ — მოსდო ქალაქებს გამანადგურებელი ათასნაირი სხვა-და-სხვა ავაიმყოფობა, რის გამო დაიბადა მეტი მოთხოვნილება მკურნალებისა. რაც უფრო ვრცელდებოდა სა-

\*) იხ. Очерки Гоголев. периода рус. лит., გვ. 258—259. მოყვანილია ბელტოვის წიგნი, გვ. 80—82.

\*) „ანტი-დიურინგა“ და სხ. წინასიტყვ.




ქონლის წარმოება, მით უფრო იხლართებოდენ ერთმანეთში საქონლის მებატონენი ათასგვარ სხვა-და-სხვა პირობებით, რის გამო მრავალი კითხვები და ვალდებულებანი (მათგან წარმომდგარი) სადავოთ გახდა. ფეოდალიზმის კანონები, ფეოდალიზმის სამოსამართლო პრაქტიკა ამ სფეროში სრულიად უღონო შეიქნა; საჭირო იყო ახალი კანონების შექმნა; ამ კანონების შესაფერ საფუძვლათ რომის კანონები აღმოჩნდა. საჭირო იყო მკოდნე კაცები, რომელნიც მარტო ამ საქმეს მოკიდებდნ ხელს და ადვილათ და ჩქარა შეიძლებდნ იურიდიულ საქმეების თავის გართმევას. ამგვარათ ვეჭილები, მოსამართლეები, საზოგადოათ იურისტების კლასი რამდენათაც საჭირო იყო, იმდენათ გავლენიანი შეიქმნა: ახალი ცენტრალური სახელმწიფო, რომელმაც ძველი არა მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული საფეოდალო თემების კავშირის ადგილი დაიკავა, ვერ დაკმაყოფილდებოდა მმართველობის ძველი ორგანოებით: სასულიერო წოდებით და აზნაურობით, ესენი მხოლოთ ხელს შეუშლიდნ მის მოქმედებას. ამ ორგანოების მაგივრათ ცენტრალური ბიუროკრატია დაწესდა; ეს ერთგვარი კატეგორიის ხალხი იყო, რომელიც სახელმწიფო გამგეობისათვის იღვწოდა არა სხვათა შორის, არამედ სპეციალურად და განსაკუთრებით. ამ ელემენტების აღსაზრდელათ და გასანათლებლათ საჭირო იყო მრავალი სასწავლებლები და მასწავლებლები. ამგვარათ გაჩნდა კარგა მოზრდილი კლასი, უმეტეს ნაწილათ ბურჟუაზიიდან რომელსაც შემოსავალი აქვს თავისი ცოდნის და ჯკუის პრაქტიკულათ მოხმარებისგან. ამიტომ ამ კლასს ქვია ინტელიგენცია, რაიც, რასაკვირველია, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ამ კლასის წევრი მართლა ინტელიგენცია ან მთელი ინტელიგენცია მაშინა მოგროვილი. ინტელიგენციის სათავეში იდგენ მეცნიერები. მათი მიზანი ცოდნის პრაქტიკული მოხმარება კი არ იყო, ისინი იკვლევდნ ბუნებას, საზოგადოებრივ ცხოვრებას და მათ კანონებს, სრულიად დამოუკიდებლად იმისა ექნებოდა თუ არა ამ კანონებს რაიმე პირდაპირი პრაქტიკული მნიშვნელობა ცხოვრებაში; მეცნიერება თავისთავათ იყო მიზანი მათთვის. განყენებული იყო ამ ფილოსოფოსების თეორიები, მარა მათი პირადი მოთხოვნილება სრულიად კონკრეტული იყო. ყველას ცხოვრება უნდოდა და ხშირათ კარგი ცხოვრებაც.

ძველათ ბერძნებში, სახელდობ ათინელებში, ფილოსოფია, ჭეშმარიტების კვლევა-ძიება საპატიო ხელობა, შეძლებულ და თავისუფალ მოქალაქეთ პრივილეგია იყო. თავისუფალი დრო, მონობით და სხვა საექსპლოატაციო ხერხით მოპოვებული, სამსახურს უწევდა ხელოვნებას და მეცნიერებას. აგრევე იყო რომაელებშიაც, მხოლოთ რომაელები უფრო მაუხეშავი მასაფისაგან იყვნ შექმნილი. ისინი ისე ჩქარა შეიქნენ ტლანქი გლეხისგან მაელი ქყეყნის მფლობელი, რომ არ შეიძლებოდა მათში შექმნის წყურვილი, კმაყოფილება მდაბალი ხარისხის და უაზრო ფუფუნება უფრო ძლიერი არ ყოფილიყო ვიდრე ცოდნისა, ჭეშმარიტების და მშვენიერებისაკენ მისწრაფება. მარა რა მოუვიდა მეცნიერებას და ფაქიზ ხელოვნებას საშეალო საუკუნის გასულს, განახლების ხანში! გარდა კარის აზნაურობისა, რომელზედაც ესლავე ვიტყვით ორიოდე სიტყვას, ამ ხანში ჩვენ ვპოულობთ ერთი მხრით გლეხებსავით მოუხეშავ, დახვესებულ სოფლის აზნაურობას და სასულიერო წოდებას, რომელთათვის გასაგები და მისაწდომია მხოლოთ დაბალი ხარისხის კმაყოფილება და, მეორე მხრით ვაქართა წოდება შექმნის სურვილით გატაცებული; ეს სურვილი მას იმდენათ უფრო ითრევადა, რამდენათ ძლიერდებოდა კონკურენცია (მეტოქეობა); იშვიათ შემთხვევის გარდა, ეს ხალხი სრულიად კარგავდა განყენებულათ აზროვნების ნიქს. დაბალი კლასისგან კი, რომელიც მარჯვენის მძიმე

შრომით ცხოვრობდა, ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო მეცნიერების და ხელოვნებისადმი ლტოლვილება: საამისოთ მათ არც განათლება ქონდათ, არც დრო დასაყრდენი იქნებოდა. არც ერთ უზრუნველყოფილ და განსაკუთრებულ კლასს არ ქონდა სურვილი ანუ მისწრაფება სულიერ მოღვაწეობისა: აზროვნება და ხელოვნებითი შემოქმედება „ინტელიგენციას“ დარჩა სამოღვაწეოთ, იმ ხალხს, რომელიც იძულებულ იყო თავის სულიერი ძალები გამოეტანა ბაზარზე ისე, როგორც დღის ქირის მუშას გამოაქვს თავის ფიზიკური ძალა, მარა ფილოსოფოსები (მსწავლეულები) და ხელოვნების მკოდნენი (მხატვარნი) მუშტარს მხოლოდ კარის აზნაურობაში პოულობდნ. იმათ შეეძლოთ შეგნება და განცდა უმაღლესი კმაყოფილებისა; ამას გარდა მეტი თავისუფალი დროც ქონდათ და უფრო უზრუნველი ცხოვრება ვიდრე ვაქართა წოდებას. თუმც ეს ყველაფერი ასე იყო (მიუხედავათ ამისა) მარა ვერც ერთი სასახლე ვერ გახდა აკადემიათ ანუ ფილოსოფიურ სკოლათ; კარის კაცები ფილოსოფოსები და მეცნიერები ვერ შეიქნენ, ისინი დარჩენ ხელოვნების და აზროვნების მხოლოთ „მოსარჩლეთ და მფარველათ“: ეს უფრო მოსახერხებელი იყო მათთვის. კარის აზნაურობამ თავისი წინაპართა სიტლანქესთან ერთათ დაკარგა მათებური ენერგიაც. სისტემატიური ბეჯითი შრომა, რა ჯურისაც უნდა ყოფილიყო იგი მისთვის წამება იყო; მას მარტო გართობა უნდოდა: მეცნიერება და ხელოვნებაც ამ მიზანს უნდა მსახურებოდა. სასახლეში როგორც ხუმარა და კარლიკები ისე ფილოსოფოსები და მხატვრებიც ყავდათ, ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ფილოსოფია უიდ გონებრივ მოძრაობას აღარ ითხოვდა. ის უნდა დაწერილიყო ადვილათ გასაგებათ, სასიამოვნოთ და მოსწრებულათ; თვით მე-18 საუკუნის დასაწყისში ვერც ერთი საზოგადოებრივი მოძღვრება ვერ გავრცელდებოდა საფრანგეთში, თუ იგი არ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებებს ან თუ სასახლის წინააღმდეგ იყო მიმართული. რაც უნდა დიადიყოფილიყო მისი იდეია, სანამ მის მისაღებათ არ იყო ხელიშემწყობი პირობები, იმდენათვე გაიხარებდა, იგი რამდენათსაუკეთესო თესლი ქვიშიან ნიადაგზე.

ასეთ პირობებში შესამე წოდების ოპოზიციონურ დედა აზრებს ძნელათ თუ ელირსებოდა თეორეტიულათ გამოხატვა. სარწმუნოება იყო ის სფერა, სადაც ყველაზე ადვილათ შეეძლო მოქმედება ოპოზიციონურ ტენდენციებს. როგორც აზნაურობას ისე ბურჟუაზიას ერთგვარათ სძაგდა რომისგან დამოკიდებული ეკლესია. აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში განათლების ეპოქის ფილოსოფოსები სასტიკათ კიცხავდნ საეკლესიო ორგანიზაციის ახალს, თანამედროვე პირობების უფრო შესაფერ ფორმებს და არა ძველს, დროს გადასულთ. არავითარი განყენებული იდეებით არ შეიძლება ამ მოვლენის ახსნა, მარა რეალურ კლასიურ ინტერესების მიხედვით თუ შეგნდავთ, გასაგებია. ძველი საეკლესიო ფეოდალური ორგანიზაცია მიწათ მფლობელობისა, ცნობილ ფორმაზე აგებული, დიდი ხანია „საერო“ გახთა საფრანგეთში. ეხლა მეფე და არა პაპი ამწესებდა წარჩინებულთ, ურიგებდა თანამედრობებს, რასაკვირველია, როგორც უკვე დავინახეთ, მარტო აზნაურობას. თუმცა აზნაურობა კიდევ დასცილოდა სარწმუნოებას, მარა არ შეიძლებოდა ასეთი წესით კმაყოფილი არ ბრძანებულიყო. ამიტომაც ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს ის ვერ იტანდა. მარა იყო ერთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც სრულათ პაპის ხელში იყო და მეფეს არავითარი უფლება არ ქონდა მზე. ამ ორგანიზაციის დიდ ვეებერთელა შემოსავალს განაგებდა პაპი, ის უცხოელი, და ახმარდა არა მარტო ფრანგებს, არამედ ესპანელებს,





წემენცებს და სხვებსაც, რადგან ორგანიზაცია (საერთაშორისო იყო) ეროვნებას არ არჩევდა. ეს შემოსავალი წარჩინებულ წოდების გასამდიდრებლათ როდი იხარჯებოდა, ორგანიზაცია მხედველობაში არ ღებულობდა არავითარ წოდებრივ განსხვავებას და თავის წევრებს აწინაურებდა მხოლოდ მათი ღვაწლის მიხედვით. ეს ორგანიზაცია, ეს ორდენი სძაგდა აზნაურობას, მარა არა ნაკლებ სძულდა ბურჟუაზიასაც. სწორეთ ამ ორდენმა მოახერხა ეკლესიის გამდიდრებას ყველა თანამედროვე საშვალეებით ესარგებლა. მით უმეტეს ადვილი იყო გამდიდრება, რომ მთელ მსოფლიოში ფესვი გადგმული ქონდა ჩინეთიდან და იაპონიიდან დაწყებული მექსიკამდის და პერუმდის, ყველგან თავისი მისიონერები, აგენტები და ჯაშუშები ყავდა, ყველგან, სადაც და რამდენათაც არ მოასწრებდა მას პროტესტანტების მეტოქეობა. მან არა თუ ევროპაში მოაწყო არტისტიულათ თავისი საქმეები, არამედ ექსპლოატაციის მთელი სისტემა შექმნა კოლონიებშიაც (ახალშენებშიაც). აქ ის როდი დაჯერდა ძარცვით, ვაჭრობით და პლანტატორული მეოჯახეობით შეძენილ შემოსავალს, ადგილობრივ მკვიდრთა შრომითაც ისარგებლა სხვა ზ სხვა სამრეწველო საქმეებში, როგორც მაგ. შაქრის ქარხნებში და სხ. ის ხალხი, რომელმაც ასე მოხერხებულათ იცოდა თავის საქმეების წარმოება, რომელიც ცბიერი იყო და დაეინებით თავისის გატანა იცოდა, ეს მკვიდრო ორგანიზაციის წევრები, მაგრათ ერთი მეორეს ხელოჩადებულნი, რომელთაც არ ქონდათ არავითარი სამშობლო, რომლის მეტოქეობას ბურჟუა კათოლიკე ყველგან შეხვდებოდა ან მოელოდა მაინც ყველგან, სადაც კი მოსალოდნელი იყო რაიმეს „ჩაჯიბვა“, რომელიც მას იმდენათვე სძულდა რამდენათვე ეშინოდა, იყვნენ არა ებრალები, როგორც ეს შესაძლებელია ჩვენი ნათქვამისგან იფიქროს ვინმე თანამედროვე „არიელმა“ ან „ქრისტიანმა“. — ესენი იყვენ იეზუიტები. აი ამ ბურჟუაზიის და კარის აზნაურობის საერთო მტერს დაატყდა თავზე განათლების ეპოქის ფილოსოფოსებისაგან სასტიკი გაკიცხვა და მეფეების სიბრაზე და უკმაყოფილება და პოლიციური ზომებიც. მარა იეზუიტთა დევნა ისევე ცოტათ შეველოდა წასული საუკუნის ეკონომიურ მოუწყობლობას, როგორც დღეს ებრაელთა დევნა.

ამავე დროს ფილოსოფოსები და საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარნი თან-და-თან დამოუკიდებელი ხდებოდენ სასახლისაგან, „ინტელიგენტთა“ რიცხვმა საგრძნობლათ იმატა; ბურჟუაზიის სახელმწიფო საქმეებისადმი ინტერესი დაებადა. წიგნები რომლებიც ეკონომიურ და საპოლიტიკო საკითხებს შეეხებოდა, მშობრავ საქონლათ გადაიქცა და ამ ამ წიგნების ფაქრობასთან ერთათ აღორძინდა ჟურნალისტიკა. ბურჟუაზიის ფილოსოფოსს და მწერალს აღარ ეჭირვებოდა უკვე სასახლიდან პენსიები და საჩუქრები. მათ ეხლა შეეძლოთ ცხოვრების სახსარი თვითონ მოეპოვებიათ, თუმცა ზოგჯერ მეტათ მცირე იყო მათი საშვალეობა. სწორეთ აი ამ დროდან, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, შესაძლებელი ხდება გამოავლად და გავრცელება სხვა და სხვა მოძღვრების, არა თუ სასახლისგან დამოუკიდებლათ, პირდაპირ მის საწინააღმდეგოთაც. კაპიტალისტების საწინააღმდეგო მოძღვრებაც კი თანაგრძნობას პოულობდა საზოგადოებაში. სასახლის ფლანგვით, თანამედროვე საზოგადოებრივ ელემენტების უთანხმოებით მრავალ კაპიტალისტებს ქონდათ სარგებლობა და რასაკვირველია ისინი მტრულათ შეხვთენ ცვლილების ყოველ მისწრაფებას. დღითი-დღე ირკვეოდა, რომ მხოლოდ გლეხებს და ქალაქის დაბალ „ხალხს“, სწორეთ იმ ნაწილს მცხოვრებლებისას, რომლისთვისაც ყველაზე მეტათ სარგძნობელი იყო ბატონობა, შეეძლო დაწინაურებულ კლასების ბატონობისათვის ბოლო მოელო.

ფილოსოფოსები სულ მეტის და მეტის ყურადღებით მოეკიდნენ ხალხს და „ფილოსოფოსისგან“ ეკონომისტები და პოლიტიკოსები შეიქნენ; ისინი სულ უფრო და უფრო მტრულათ ეკიდებოდენ არა მარტო სასულიერო წოდებას და აზნაურობას, საზოგადოათ „მდიდრებსაც“. მიუხედავათ ამისა, როცა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დასაწყისი მიეცა სოციალისტურ კრიტიკას, საზოგადოებამ ვერ შეიგნო და ძალიან სუსტი თანაგრძნობით შეხვდა. იმ საზოგადოებრივ მოძღვრებებში რომელთაც მაშინ დიდი გავლენა ქონდათ, ყველაზე უწინ რუსსოს მოძღვრებაში კომინისტურ აზრებს, (ტენდენტებს) მხოლოდ ისდაინახავს, ვინც საქმეს მეტათ ზერეფე იცნობს; ფეოდალური შევიწროება საქონლის წარმოების განვითარებას ხელს უშლიდა და ამიტომ დროს მოთხოვნილება ამ შევიწროების თავიდან მოცილება იყო. ბურჟუაზიის ინტელიგენტის მეტათ კარგათ ქონდა შეგნებული ცხოვრება და მისი მოთხოვნილება, რომ ამ დროს სოციალიზმი არ წამოეყენებია წინ, რომლის განვითარების იმედი ჯერ კიდევ მომავალშიაც საეჭვო იყო. თუმცა ინტელიგენცია ჩაგრულით და უსახლკარო (ბოგანო) კლასებს სიმპატიით ეპყრობოდა, მარა მაინც არ შეიძლებოდა მათი შეხედულება ბურჟუაზიის შეხედულებაზე მალლა დამდგარიყო, რადგანაც ის ამ კლასს ეკუთვნოდა თავის ოჯახური დამოკიდებულებით და თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, ერთი სიტყვით არსებობის ყველა პირობებით. მხოლოდ აი რა იყო: სხვა და სხვა კაპიტალისტთა ჯგუფს დროებითი და ინდივიდუალური (პირადი) ინტერესები ხელს უშლიდა კაპიტალისტთა კლასის ძირითად და არსებითი ინტერესების შეგნებას, როგორც მაგ. წინააღმდეგოდენ ყველა კაპიტალიზმის განვითარების ხელისშემშლელ დაბრკოლებას. წინააღმდეგ, დროებითი და პირადი ინტერესები ბევრ კაპიტალისტებს ფეოდალური რეჟიმის მომხრეთ ხდიდა და თითქმის ყველას ყოველი ცვლილების მტრათ. ინტელიგენტის შეხედულება კი არ იყო დროებით ინტერესებით შემოფარგლული, ის საქმიან ბურჟუაზია მალლა დადგა; შეეძლო ფაქტების აღსახვდა და მათგან ლოდიკურათ სწორი აზრების დასკვნა, საკმაო ცნობებიც ქონდა წასულ და აწმყო საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენებზე, — ერთი სიტყვით მან შეიგნო ბურჟუაზიის ძირითადი და არსებითი ინტერესები, რომელიც მაშინ სრულიად ეთანხმებოდა ისტორიული განვითარების (მსვლელობის) საზოგადო მოთხოვნილებას. ინტელიგენცია იყო სწორეთ ის ძალა, რომელიც იცავდა ამ ინტერესებს არა მარტო სასახლისგან, სასულიერო წოდებისაგან, ზოგჯერ არა მარტო გლეხებისაგან, წვრილ ბურჟუა და პროლეტარებისაგან, არამედ თვით კაპიტალისტთა სხვა და სხვა ჯგუფის წარმომადგენელთაგან, თუ კი მათი დროებითი და შემთხვევითი ინტერესები მთელი ამ კლასის ძირითად ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ინტელიგენცია თავის პირად, დროებით ინტერესებით როდი ხელმძღვანელობდა; რადგან ის მოქმედებდა საზოგადოებრივ მოვლენების ღრმა შეგნებით, რომელიც მრავალ წლობითი გონებრივ მუშაობით მოიხვეჭა, ბურჟუაზიის ინტელიგენცია გამოვიდა არა მატერიალური ინტერესების დამცველათ არამედ წმიდა პრინციპების, წმიდა იდეების წარმომადგენლათ; ისინი როგორც „დოქტრინიორები“ ისე გამოვიდნენ წინააღმდეგ კაპიტალისტ „პრაქტიკებისა“; ეს უკანასკნელნი თავის უფიცობით ამყობდენ და ცდილობდენ მხოლოდ თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ სახელმწიფო ამა თუ იმ დროულ პრაქტიკულ დაწვეულებაში.

ბურჟუაზიის ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ იყო ის, რაც იგი შემდეგში შეიქნა: მას ჯერ ფიქრათაც არ მოსდიოდა თავის მოძღვრება „მომქმედ სახელმწიფო კაცების“ სურვილსა და გემოვნებისათვის შეეფარდებია იმის მაგივრათ, რომ



მათგან მოეთხოვა მათ მოძღვრებას დამორჩილებოდნენ. რევოლიუციით ინტელიგენციამ დიდი ძალა მოიპოვა, რის გამოც მან შესძლო თავის აზრების ცხოვრებაში გატარება. დაცვა კარის აზნაურობა და მასთან ერთად მკიდრობა დაკავშირებული ფინანსისტთა უმაღლესი წრეები, რუსეთში ერთ-ერთი კლასილა დარჩა, რომელსაც უნარი ჰქონდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის: ეს იყო ბურჟუაზიის ინტელიგენცია. ეხლაც, როცა უმეტეს შემთხვევაში კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში, ხალხის უმეტესი ნაწილი, უპირველესათ ქალაქის მუშები, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევით (მონაწილეობით) რამოდენიმე გაეცნენ სახელმწიფოს მოთხოვნილებას, საკანონმდებლო მოქმედების ვალდებულებას, მართვის თანამედროვე წესს და საქმეების საპარლამენტო განხილვას, — ეხლაც კი პარლამენტში ბურჟუაზიის ინტელიგენცია მეტობს. რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდა მას ასი წლის წინეთ საფრანგეთში, სადაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თავ-გამოდებით დევნიდნენ ყოველ პოლიტიკურ ცხოვრებას, ყოველ პოლიტიკურ მოძრაობას! პარიზის წვრილი ბურჟუაზიაც კი არ ირჩევდა წარმომადგენლებს თავის წრიდან, იგი ირჩევდა იურისტებს, ჟურნალისტებს და სხვ. და სხვ.

ამგვარათ ბურჟუაზიის ინტელიგენციის ხელში გადავიდა სახელმწიფო უფლება, რითაც სარგებლობდა ინტელიგენცია თავის ტენდენციების ცხოვრებაში გასატარებლათ. ეს ტენდენციები იყო ბურჟუაზიულ კლასიურ ინტერესების გამოხატველი. რადგანაც ეს ტენდენციები ყველაზე მეტათ შეესაბამებოდა ისტორიულ მსვლელობის უმთავრეს და არსებით მოთხოვნილებას, ამისთვის თავისთავათ რევოლიუციის ნამდვილ ტენდენციებს უერთდებოდა. გარდა ამისა რევოლიუციის დროს ინტელიგენციას ყველაზე მეტი შემთხვევა და უფლება ჰქონდა ლაპარაკისა, მისი მოღვაწეობა, მისწრაფება და მოთხოვნილება სხვებზე უფრო სავსებით აღიბეჭდა და დარჩა წიგნებში და გაზეთებში. რა გასაკვირალია ამის შემდეგ, რომ იდეოლოგები, რომელნიც მართო გარეგნობით კმაყოფილდებიან, იმ რწმენამდის მივიდნენ, ვითომ ფილოსოფოსებმა და მათმა იდეებმა შექმნა რევოლიუცია, ისინი ხელმძღვანელობდნენ და განაგებდნენ მას.

ეჭვს გარეშეა, ბურჟუაზიის ინტელიგენცია იმ კლასს ეკუთვნის, რომელმაც სხვაზე მეტათ დაამჩნია თავისი ელფერი საფრანგეთის რევოლიუციას. რამდენათაც რევოლიუცია გამოიხატა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ეს ინტელიგენციის საქმეა, მარა გასაკვირველი იქნება კაცმა ის იფიქროს, რევოლიუცია მინისტრთა დეკრეტებით და პარლამენტის გადაწყვეტილებებით არის გამოწვეული. მნიშვნელოვანი მომენტები როგორც ინიციატივა, ისე საბოლოო გადაწყვეტა ყოველთვის ხალხის აჯანყებას ეკუთვნოდა, სახელდობ პარიზის მიდამოების მცხოვრებთ და გლეხობას. უმთავრესი გადაწყვეტილებები სხვა და სხვა საერო საკრებულოების, როგორც დამარსებელი და საკანონმდებლო, კონვენტი მხოლოდ აკანონებდნენ მას, რაც უკვე გაკეთებული იყო ხალხის მიერ.

ეს საკრებულოები (დაწესებულებები) სარევოლიუციო ბრძოლის დროს სრულიად უღონო შეიქმნენ; ის ხალხის ბრძანების მიმღები უფრო შეიქნა ვიდრე — გამცემი.

რევოლიუციის მოვლენებში კი არ სჩანს ინტელიგენციის დიდი მნიშვნელობა და გავლენა სჩანს მაში, რაც რევოლიუციის შემდეგაც არსებობდა. ინტელიგენციას არ აუღია ბასტილია, მას არ გადაუდგია ფეოდალიზმის უღელი, მას არ დაუხსნია საფრანგეთი შინაურ და გარეშე მტრებისაგან, მარა მან მისცა ისპრინციპები, ის საფუძველი, რომელზედაც

დღესაც აგებულია მისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია; მან შექნა სამართალი, რომელიც დღესაც თანამედროვე საზოგადოების ურთიერთობის შესაფერათ და უნაკლებობის აღიარება. რა თქმა უნდა ისეთ ბედნიერ ვარსკვლავზე — სამართლებულმა სარდალმა ეს სამართალი... როგორც სხვა ბევრი რამ და თავის მიზნისთვის გამოიყენა. „სამოქალაქო კოდექსი“ ნაპოლეონის კოდექსი“ გახთა, მარა ეს კოდექსი მაინც რევოლიუციის დროის ინტელიგენციის შექმნილია.

(შემდეგი იქნება)

„ცნობის ფურცლის“ წინასწარმეტყველება.

(შენიშვნა)

ჩვენ კარგა ხანია ვიცით, რომ „ცნობის ფურცელი“ ორ სკამ შუა ცდილობს გამაგრებას, ე. ი. ბურჟუაზიასაც თავყანს სცემს და იმავე დროს ახალ დროის დემოკრატიასაც ეშმაკურათ შორიდან უღიპის. ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ ეს გაზეთი ორპირი იანუსია, და როდის რა უჯობს, იქითკენ იძლევა სალამს. ამასთანავე ისიც აშკარაა, თუ ნამდვილათ ვისი მოსარჩლე და მონა-მორჩილი ბრძანდება ეს ორპირობის წარმომადგენელი გამოაცემა ჩვენ ლიტერატურაში. მაგრამ თუ „ცნობის ფურცელი“ წინასწარმეტყველობის როლსაც იკისრებდა, ეს ჩვენ სწორეთ არ გვეგონა! ახლა კი გავიგეთ, რომ მკითხაობის და მარჩიელობის როლიც მას არა ნაკლებ შეუძლია ითამაშოს. 18 იანვრის ნომერში (№ 2382) ბ-ნი განი, რომელიც ეს ერთი ხანია პუბლიცისტურ ვარჯიშობას ეწევა ხსენებული გაზეთის ფურცლებზე, გვეუბნება, თუ რა „გვიწინასწარმეტყველეს „ცნობის ფურცლის“ წარმომადგენელებმა ამ ერთი წლის წინეთ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა კრების თვითმმართველობის შესახებ. — დაანებეთ თავი მრეწველთა საბჭოს მოქმედების კრიტიკას, ნუ ამეღავენებთ საქვეყნოთ იმათ აულაგმავ თვითნებობას, ნუ სწერთ იმათ ბოროტ-მოქმედებაზე, დეე, რაც უნდათ, ის ჩაიდინონ, ეს თქვენი საქმე არ არის, თორემ მრეწველთა თვითმმართველობას განსაცდელი მოეღისო. საბრალო „ცნობის ფურცლის“ წინასწარმეტყველნი! რასაც ისინი მომავალში მოელოდნენ, ის უკვე დიდი ხანია შესრულებული იყო, დიდი ხნიდან განხორციელებულია, იმ დღიდან მაინც, რა დღესაც ბ-ნი ზდანოვიჩი მეორეთ იქნა არჩეული მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეთ. ყოველივე ეს სავსებით, უტყუარი ფაქტებით და შეურყეველი საბუთებით, დამტკიცებულ იქმნა სწორეთ ამ ერთი წლის წინეთ „კვალში“, ე. ი. ჭიათურის მრეწველთა მეხუთე კრების დროს, რომელიც ვაქსანალიას უფრო გავდა, ვინემ საქმიან კრებას. დიახ, „ცნობის ფურცლის“ ცრუ წინასწარმეტყველნო! შავი ქვას მრეწველთა თვითმმართველობა უკვე დიდი ხანია განსაცდელში იყო, და უბედურებაც ის არის, რომ თქვენ ეს არ გჯეროდათ, სამწუხაროც ის გახლავთ, რომ თქვენ ამ უტყუარ ფაქტს მაღალეთ და ხელს აფარებდით. ამიტომ თუ ეს თვითმმართველობა განსაცდელში ჩავარდა, ამ დანაშაულობაში წილი თქვენცა გაქვთ, რამდენიმეთ თქვენც შეუწყეთ ხელი ამ გარემოებას. ტყუილა ნუ გგონიათ, რომ ჩვენ ვითომც მარგანეციის მრეწველთა თვითმმართველობის მტერი ვიყოთ და იმის „დარღვევა“ როდისმე გესუროდა. ჩვენ ვწუხდით და გვწყენოდა, რომ მრეწველთა თვითმმართველობა უკვე დაღუპული იყო და სრულეთთ გაუქმებული ისეთი პირის წყალობით, რომელიც ერთ დროს ადამიანათ ითვლებოდა და რომელსაც დღეს თქვენ, მიუხედავათ უტყუარი ფაქტებისა, რომოებ-ც



მის საზოგადოებისათვის მანვე მოღვაწეობას მოწმობენ, გუნ-  
დრუკს უკმევენ. ვინ არ იცის, გარდა „ცნობის ფურცლის“  
მოვარჯიშეთა, რომ ჩვენში თვითმმართველობა ჯერ კიდევ  
სრულებით უსუსური და სათუთი რაჲ არის, რომ მას ესაჭი-  
როება საზოგადოებრივი მისწრაფებით გამსჭვალული ხელ-  
მძღვანელი, და არა მტაცებელი, თავგასული ეგოისტი. ბ-  
ზღანოვიჩისთვის დიდი საქმე არ იყო ამ უსუსური და სათუ-  
თი ქმნილების—მრეწველთა თვითმმართველობის—გაძოხნობა,  
და გამოახლო კიდევაც. ჩვენი დანაშაული მხოლოდ ის არის,  
რომ ეს გარემოება არ დავფარეთ და ქვეყანას ვაცოცხლებთ.

„ცნობის ფურცლის“ თანამშრომლებს აზრით კი, ჩვენ  
ამისთვის ხელი უნდა დაგვეფარებია, საბჭოს ხელმძღვანელის  
აუღაგმაღვი თავდასულობა და სისტემატიური ბოროტმოქმე-  
დება არ უნდა გვეცნობებია საზოგადოებისათვის და მცხუთე  
კრების ურა-უმრავლესობის და თვით „ცნობის ფურცლის“  
მსგავსათ ყველა ამავებისათვის ბ-ნი ზღანოვიჩი ქება-დიდებათ  
მოგვეხსენებია და მის წინაშე მუხლი მოგვეხარა. მაშინ აღ-  
ბათ „ცნობის ფურცელი“ თვითმმართველობის მეგობრათ და  
მოსარჩლეთ დაგვსახავდა და ჩვენს სამარცხვინო მოქმედებას  
მოიწონებდა. მაგრამ უწყოდეს, რომ ამას იგი ვერასოდეს  
ვერ მოგსწრება; ასეთი როლი მხოლოდ მისთვის არის გაჩე-  
ნილი, მაშ რაღა „ცნობის ფურცელი“ იქნებოდა იგი უამი-  
სოთ.

ბ-ნი განა უმეტესათ სწუხს იმის გამო, რომ ახალი წე-  
რილებით, რომელიც მთავრობას აზრათ ჰქონია შემოიღოს,  
დასამტკიცებლათ სამთო გამგეობას უნდა წარედგინოსო.  
და ეს ხომ შეზღუდავს და შეაფიწროებს თვითმმართველობის  
საქმესო. ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ ერთ რასმეს მოვადგო-  
ნებთ მას: აქამდის შავი ქვის მრეწველთა კრებისათვის რაიმე  
ხარჯთ-აღრიცხვა განა არსებობდა? რა ხარჯთ-აღრიცხვა  
უნდა იყოს იქ. სადაც 8 ათასი მანეთის აღგილას იფლანგება  
120 ათას მანეთზე მეტი, სადაც ეს ხარჯი სრულებით საჭი-  
რო არ იყო? რა ხარჯთ-აღრიცხვა უნდა დავარქვათ იმას,  
სადაც 70 ათასი მანეთის, რომელიც გადადებული იყო მრე-  
წველთა კრების მიერ მეტათ საჭირო საქმისათვის, ე. ი. სა-  
ავათმყოფოს შერობის გასაკეთებლათ, უკლებლათ დარჩა კა-  
საში და საავათმყოფო აუტანელ და საზარელ მდგომარეო-  
ბაში იმყოფება. ეს ერთი მაგალითი მრავალთაგან. სხვებს  
აქ აღარ მოვიგონებთ.

არა, „ცნობის ფურცელი“ თავის წინასწარმეტყველე-  
ბით და მკითხაობით ვერავის მოატყუილებს. კიათურის მრე-  
წველთა კრების თვითმმართველობა დაღუბა ბ-ნმა ზღანო-  
ვიჩმა, რასაც ხელი შეუწყვეს მცხუთე კრების ურა-უმრავლე-  
სობამ და შემდეგ თვით „ცნობის ფურცლის“ თანამშრო-  
მელთა გაჩემებამ და უტყუარ ფაქტების უარყოფამ. რამდე-  
ნიც უნდა იძახონ, სიტყვები გაქრება და ფაქტები კი და-  
რჩება.

შარზანდელი მეთვალყურე.

დრ. რედაქტორი გამომცემელი  
ბ. ა. აღაქსაგვ-მესხაიევი ან. მ. თ.-წერეთლისა.

**განცხადება**  
ს. გ. თოფურიას  
**სამკურნალოში**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწო-  
ლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალთ  
ავათმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მი-  
კროსკოპიურ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების-სენითა და  
სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.  
ერთი აღვილი ღღე და ლამეში საქმელ-სასმელით, მოვ-  
ლით და წამლობით ელირება ერთიდან სამ მანეთამდე.

ПОДПИСКА  
НА  
**„С.-Петербургскія Вѣдомости“**  
НА 1904 Г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:  
Безъ казенныхъ прибавлений. Съ казенн. приб.  
на годъ. на 6 м. 3 м. 1 м. на годъ. 6 м  
Съ доставкой по гор. почтѣ 16 р. 9 р. 4 р. 50 к. 1 р. 80 к. 18 10 р.  
Съ пересылкою иногородн. 17 „ 10 „ 5 „ 50 „ 2 „ — „ 19 10 „  
За границу . . . . . 26 „ 14 „ 8 „ — „ 3 „ — „ 28 16 „  
Подписка на газету безъ «прибавл.» принимается въ конто-  
рѣ на всѣ сроки не иначе какъ съ 1-го числа каждаго мѣ-  
сяца и не дальѣ, какъ до конца года.

Подписка на газету съ „Прибавл. къ С.-Петерб. Вѣдом.“  
(казенныя объявленныя) принимается только на годовой и  
полугодовой срокъ. Въ различную продажу «Прибавл.» не по-  
ступаютъ.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ чрезъ  
гг. казначеевъ (по особому съ ними соглашенію); для чест-  
ныхъ же лицъ, обращающихся прямо въ контору редакціи: 7  
руб. при подпискѣ 5-руб. въ канцѣ марта и 5 р. 1 августа.

Подписчикамъ, не внесшимъ въ срокъ подписныхъ денегъ,  
высылка газеты прекращается.

При высылкѣ денегъ почтовымъ переводомъ слѣдуетъ  
обозначать требованіе о высылкѣ газеты на самомъ переводѣ,  
а не въ отдѣльномъ письмѣ.

При перемѣнѣ адреса необходимо слѣдуетъ сообщать: го-  
родскимъ подписчикамъ; прежній адресъ или номеръ подпис-  
наго билета, а иногороднимъ; прежній адресъ или прислать  
бандероль подъ которой высылается газета. За перемѣну ад-  
реса уплачивается: съ городского иногородній 1 руб., съ ино-  
городняго на иногородній: 40 коп. При перемѣнѣ городского  
или иногород. адреса на заграничный доплачивается почто-  
выхъ расходовъ 1 р. 10 коп. въ мѣсяцъ.

Для духовныхъ лицъ, воспитанниковъ высшихъ учеб-  
ныхъ заведеній, преподавателей народныхъ училищъ и всѣхъ  
среднихъ и высшихъ учебныхъ заведений, а равно для об-  
щественныхъ библиотекъ и читальнъ подписная цѣна 12 руб.  
въ годъ или по 1 руб. въ мѣсяцъ (исключительно чрезъ ко-  
нтору „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“).

Подписка принимается въ Петербургѣ—въ главной кон-  
торѣ «С.-Петербургскихъ вѣдомостей», Шпалерная 26 и въ  
книжныхъ магазинахъ: 1) Цинзерлинга (бывш. Мелье). Нев-  
скій пр., № 20 и 2) П. П. Сойкина, Невскій пр., № 96, уголъ  
Надеждинской; въ Москвѣ—въ конторѣ Н. Печковской,  
Петровскія линіи, № 61

Иногородніе адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26,  
Изд. кн. Э.Э. Ухтомекій. Ред. А. А. Столицинъ.